ქართველ კათოლიკეთ

სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები

მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი.

K 6113 / 2

ფ. ჯიჯეიძისა

ბ ფ ა ლ ი ს ა
სტამბა „ბრიმა“, მუხრანის ქუჩა № 12.
1 9 1 2

ქართველ კათოლიკეთ

სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები

მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი.

უფროსი ძმებით მიხეილი.

ფონ. № 2 ეროვნული

თ ფ ი ლ ი ს ი
სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა № 42
1 9 1 2

Академия Наук СССР

პატრი მიხეილ თამარაშვილი.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველო რომის პაპებს ადრიდგანვე დაუახლოვდა, ქართველ მეფეთ და მთავართ მიწერ-მოწერა პაპებთან ადრიდგანვე გაიმართა. ამის დასაწყისი თითქმის პირველ საუკუნოებიდან იწყება. XIII საუკუნის შემდეგიდამ კი არ გასულა წელიწადი, თვე და კვირა, რომ პაპს, კარდინალებს და მათს „კონგრეგაციას“ საქართველოდამ რამე ცნობა არ წასვლოდეთ. ყოველი პატრი, ყოველი ძმობის წევრი მოწმე იყო საქართველოს მწარე ამბების და მასთანვე საუკეთესო მატიანე ჩვენის წარსულის. მათ გაავსეს ვატიკანი საქართველოს შესახებ ცნობებით. მათის მეოხებით საქართველოს აქცევდნენ ყურადღებას არა მარტო საქართველოში მყოფ კათოლიკეთ მოძღვარნი, არამედ საქართველოს გარეშე—სპარსეთს, ოსმალეთს და ევროპას ყოფილ კათოლიკის მისიონერებიც. XV საუკუნის შემდეგიდამ საქართველოს შინაგან ყოფა-ცხოვრების შესახებ იმდენს საჭირო ცნობებს თვით ქართველთ მემატიანენი არ იძლევიან, რამდენსაც ლათინთ ბერები. ამისთვის საკმაოა დავასახელოთ სამეგრელოში ყოფილ და დიდხანს მცხოვრებ მისიონერ ლამბერტი, რომლის სიმპატიური შრომა, სამეგრელოს შესახებ, ქართულადაც დაიბეჭდა. ლამბერტის გვერდითვე სდგას მისიონერი ქრისტეფორე კასტილი, მისიონერ, ზამპი, მოგზაურ, დელა-ვალე, ამბროზი და რამდენი კიდევ სხვანი. ყველა ამას ცხადათ ასაბუთებს მ. თამარაშვილის შრომა „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“, დაბეჭდილ ქ. თბილისს, 1903 წ., სადაც მოყვანილია აუარებელი ძვირფასი ცნობები ჩვენის ძველის ცხოვრების შესახებ. ეს ისტორიული წიგნი საუნჯე გახლავსთ ჩვენის ერის ისტორიისთვის.

ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ვატიკანის წიგნთ-საცავში ასეთი მასალები მრავლად იყო დაშთენილი, ვიცოდით, რომ ამ მასალების პოვნა და გამოქვეყნება საქართველოს ერისთვის

დიდს საჭიროებას შეადგენდა, მაგრამ საიდამ და რითი, ვისის საშუალებით უნდა მოგვეხერხებინა ეს, როდესაც საჭირო მასალები ჩვენ თვით საქართველოშიაც ვერ მოგვიგროვებია და აბა რომში ვინ წავიდოდა, ან რით? სხვა არა იყოს-რა ენების უცოდინარობა გაგვიძნელებდა საქმეს. ერთი სიტყვით, წინ დიდი დამაბრკოლებელი მიზეზები დაგვიხვდებოდა.

მოკლედ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვერა ღონისძიებით ვერ მოვახერხებდით ამ ძნელ საქმის შესრულებას. ამის საჭიროებას ყველა კარგად გრძნობდა, ნამეტურ დ. ბაქრაძე. ეს რომ მოსწრებოდა მიხ. თამარაშვილის შრომას, იგი წელშიაც გაიშლებოდა და გულშიაც საიმედო ცნობებით აღივსებოდა.

აი, ასეთის დიდის საქმის შესრულებას ხელი მოჰკიდა პატრმა მიხეილ თამარაშვილმა. მ. თამარაშვილი ქართველ კათოლიკე გახლავსთ, იცის თითქმის ევროპიელთ ყველა ენები და მასთან აზიური ენებიც. იგი არის ღრმად მოსავი კათოლიკე და მასთან უწარჩინებულესი მამულიშვილი თავის ქვეყნისა. ეს 20 წელიწადი მეტი იქნება, რაც იგი რომში დასახლდა, პაპის წინაშე მოიპოვა დიდი პატივისცემა, უკანასკნელ ვატიკანის სამკითხველოში მეცადინეობაც დაიწყო და მასალების შეკრება და მათს ქართულად თარგმნასაც შეუდგა. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს მოძღვარი გულს-მოდგინეთ შრომობდა, კითხულობდა ძველს წიგნებს, იტანდა იქ დიდს მოთმინებას, შრომას და, უკანასკნელ, მიაღწია თავის საწადელს, დასძლია ისეთ საქმეს, რაც სხვებისაგან მისი დაძლევა ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა.

მ. თამარაშვილის შრომამ ჩვენ ცხადათ გვამცნო, რომ ქართველ კაცსაც აქვს შრომის ნიჭი და შნო მეცადინეობისა. ამას ცხადათ გვიმტკიცებს მისი შრომა „ქართველთ კათოლიკეთა ისტორია“. იგი დიდ საუნჯეთ, დიდ განძათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწიგნობრობის ასპარეზზედ. იგი არის ჩვენი მეორე „ქართლის ცხოვრება“, დაუფასებელი შრომა, მეტად დიდი ფასის მასალა განვლილ დროთა შესახებ. მართლაცა და ასეთი ვრცელი შრომის გამოქვეყნება ჩვენში კი არა და ევ-

როპაშიაც სასახელოდ ჩაითვლება. ადვილი საქმე კი არ არის, რომ ჩვენს უმადურს ქართველებში, ვინმემ ასეთ საგვარტომო საქმეს მოჰკიდოს ხელი და რამე გააკეთოს; ამას ჩვენ თამამად ვიტყვით, რადგანაც კარგად ვიცით, რომ მ. თამარაშვილი ვატიკანის არქივებში დღესაც მეცადინეობს და მას მეტათ დიდი ძალი მასალები და საჭირო ცნობებიც შეუკრებია. ეს ახალ, მისი ნამუშაკევიც ვეება წიგნი გამოვა თურმე, რომელშიაც მოთავსებული იქნება კერძოთ პოლიტიკური ნაწილის შესახები წერილები, როგორც რომის პაპების, ისევე ქართველთ მეფეების, რომლებიც მათ ერთმანერთისათვის უწერიათ საქართველოს შესახებ. ცხადი საქმეა, რომ ესეც ძვირფასი მასალა იქმნება ჩვენის ტომის ისტორიისთვის.

ყველა ესეთი შრომანი ცხადათ მოწმობენ, რომ მამა მ. თამარაშვილი უნდა იყოს არა მარტო წმინდა კათოლიკე, არამედ გულ-შემატკივარი ქართველი, უდიდესი მამულისშვილი თავის ქვეყნისა. ჩვენში ასეთი სამაგალითო გვამნი სამწუხაროდ ერთობ მცირე არის და საქმე კი ბევრია გასაკეთებელი. მ. თამარაშვილის შრომით ქართულს ისტორიას დიდი ბრწყინვალე ნათელი მოეფინება. თვით ქართველებზედ აქამდის მრავალნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ საქართველოს ერის და მეფეების ხსენება ევროპის ერთა სულ არ იცოდნენო. ეხლა კი სჩნდება ცხადათ, რომ ძველიდგანვე ევროპიელთაც კარგად სცნობიათ ჩვენი მეფეები და ჩვენს ერსა და მეფეებსაც კაი წარმოდგენა ჰქონიათ მათზედ, ყველა ამაების შუამავლად და ელჩებათაც ყოველთვის კათოლიკის ყველა ორდენის მამანი ყოფილან.

ჩვენ სრული მოიმედენი ვართ, რომ მ. თამარაშვილი ჩვენს ისტორიას კიდევ ბევრს ძვირფას მასალებს შესძღვნის, იგი ბევრს ბნელს მხარეს გაანათებს, ბევრი მივიწყებული მხარე განახლდება და ჩაიდგამს სულს, ბევრი უცხო ცნობა გამოქვეყნდება. თვით მ. თამარაშვილსაც მთელი თავის შრომა, სიცოცხლე და ცხოვრებაც მხოლოდ ამის მსხვერპლად მიაჩნია. იგი ჯერეთ ახალგაზრდა მოძღვარია, გულით და სულით

მაგარი, ჯან-გაუტეხავი და მაგალითი მრავალთა. თამამად ვიტყვით, რომ მომავალში მ. თამარაშვილი თავის დაუცხრომელის შრომით ქართველთ ალიშანი იქმნება, როგორც ალიშანი სომეხთათვის გახლდათ ვენეციის მხიტარისტების „კონგრეგაციაში“, ისევე მ. თამარაშვილი გახდება ქართველთ საუკუნეებლოთ რომში. ამის ცხადი საბუთიც გვაქვს, რომ მიხ. თამარაშვილი მარტოდ საეკკლესიო ასპარეზზედ არ შეჩერდება.

თუმცა იგი ბედმა რომში გადასტყორცნა, მაგრამ ეს მისი გადატყორცნა არ იყო უმნიშვნელო, მან დიდი ნაყოფი გამოიღო. მართალია დღეს, მიხ. თამარაშვილი რომშია, მაგრამ სულით და გულით აქ არის, აქეთ უჭირავს თვალი და გული, მისი სული ყოველთვის სამშობლოს დასტრიალებს გარს. ესეთი ვითარება ხომ ცხადი დარგია ქართველი კაცის, ასეთის თვისებით და სამშობლოს სიყვარულით ქართველმა დღემდე მოაღწია. სადაც უნდა იყოს ქართველი კაცი გარეშე თავის ქვეყნისა მას თვალი მაინც თავის სამშობლოსკენ უჭირავს, მე მათი პირადი ცნობა არ მაქვს, წერილების წერა და ჩვენს ისტორიაზედ საუბარი კი ადრიდგანვე გვაქვს დაწყობილი ერთმანერთში, ყოველი მისი წერილი ნათელის სხივებით ბრწყინავს, ყოველს წერილს აქვს თავისებური, დიდი მამულისშვილური ღრმად ჩაბეჭდილი მნიშვნელობა. მიხ. თამარაშვილი ყოველთვის იქმნება ქართველი ტომის ჭეშმარიტი მოსარჩლე, მისთვის დაუცხრომელი მქადაგებელი, საქართველოს ერის საქმეების უდიდესათ პატივის მცემელი, იგი, როგორც გულ-მხურვალე მამულის შვილი, ამისთვის არავის შეუშინდება, არავის მოერიდება. მორიდება-კი არა და თვით იგი სწერს, რომ „ჩემი სამშობლო ქვეყნის და ერის სამსახურისათვის თავს დავდებ და თუ საქმე იქმნა, მისთვის თავსაც ადვილად გავწირავ და სისხლსაც დავდვრიო“.

მიხ. თამარაშვილის მნახველთ მიამბეს, რომ მას დიდი სიყვარული აქვს თავის სამშობლოს ისტორიისაო, მისი სული და გული სულ საქართველოს ერის ისტორიის გარშემო ტრია-

ლებსო. თვით პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმაც აღ-ტაცებით გადმომცა შემდეგი: — „მე პირველად ვხედავ ასეთ შრომის მოყვარე, ქართველ კაცს, ეს პირველი მაგალითია, რომ ასეთ შრომასა და ცდასთან ევროპის ერთა ამდენი ენებიც იცოდესო“.

მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1858 წ. ქ. ახალციხეს, როგორც სხვა მესხები. უეჭველია ამათი გვარის წევრთა კათოლიკობასთან დაკავშირება XVII საუკუნის დამდეგს იქმნებოდა. მიხეილის მშობლები ძველი მკვიდრნი არიან ახალციხისა, მიხეილის მამა გახლდათ პეტრე თამარაშვილი, დედა გაიანე. ამათ ჰყვანდათ რვა ვაჟი და ორი ქალი, მიხეილი მეცხრე შვილი არის, ამათი უფროსი ძმა სოლომონი და ერთიც სხვა ძმა მიხეილზედ უფროსი, სამივესი ერთად, სურათი დახატულია ამ წიგნის ზედა პირზე მიხეილი აქ ყველაზედ უმცროსი ძმა არის, მარჯვნივ. უფროსი ძმა სოლომონი მიხეილზედ 28 წლით არის ხნიერი. ყველაზედ დიდი შრომა და ამაგი მიხეილზედ სოლომონს მიუძღვის, იგი ამის თავოსნობით დაადგა სწავლის გზას, ამის დახმარებითვე წავიდა იგი ევროპას.

თავის დროის კვალად, ახალციხეში, ამათი ოჯახი განთქმული ყოფილა ისევე, როგორც საზოგადოთ მესხეთ ჯავახეთში და ნამეტურ ახალციხის ოჯახის შვილთა შეჰფერით.

მიხ. თამარაშვილმა პირველ დაწყებითი სწავლა ახალციხის ქართველ კათოლიკეთ სამრევლო სკოლაში მიიღო, სადაც იგი ქართულს ანბანს სწავლობდა ჩვენის მოღვაწის, ქართველ კათოლიკეთა ცნობილის მოძღვრის ვინმე მესხისაგან (ივანე გვარამაძე), რომელ გარემოებასაც უნდა მიეცეს დიდი მნიშვნელობა, რადგანაც ვინმე მესხი მასზედ იქონიებდა განკერძოებულს ზე გავლენას, ასეთი გავლენა მისგან მარტო პატარა მიხაზედ არ იქმნებოდა, არამედ ყველა ქართველ კათოლიკეთა შვილებზედ, ვინაიდგან სწორედ 1870 წლებიდამ იწყება ახალციხეში, ქართველ კათოლიკეთა წინაშე ცხარე ქადაგება მის შესახებ, რომ იგინი ტომით ქართველები არიან, ხოლო სჯულით კათოლიკენი, ამის შეგნება მიხას აქვე ახალციხეში უნდა ექმნეს ჩანერგილი ვინმე მესხის ცდით.

ახალციხეში მიხეილ თამარაშვილი სამრევლო სკოლის გარდა ახალციხის სამოქალაქო სკოლაშიაც სწავლობდა, სადაც მან შეისწავლა რუსული ენა, წერა-კითხვა და სხვა და სხვა იმ დროის სამოქალაქო სკოლის საგნები. ამ სწავლის შემდეგ, იგი თავისმა მეორე ძმამ მიხა ქუთაისში გადიყვანა და აქ უპირებდა აღებ-მიცემით გამოწურთვნას, მაგრამ აქ დაშთენის მას სურვილი არ აქვნდა. და ძმას ეხვეწებოდა, რომ სტამბოლში გამგზავნე პეტრე ხარისჭირაშვილის სასწავლებელში. მაშინ პეტრე ხარისჭირაშვილი მთელ ქართველ კათოლიკობაში დიდათ სახელოვნებდა თავის ქართულის სამწიგნობრო, სასტამბო და ქართული სკოლის საქმეებით, ძმა თურმე არ უშვებდა, მე აქ მინდიხარ, არ გაგიშვებო.

მერე მიხეილმა დავალებით თავის უფროს ძმას სოლომონს წერილი მისწერა და შეატყობინა, რომ მე სტამბოლში მინდა წავიდე სასწავლებლად, მაგრამ ჩემი უფროსი ძმა არ მიშვებსო. მერე სოლომონს მიუწერია წერილი და შეუთვლია ძმისათვის, რომ შენ რა უფლება გაქვს, რომ მიხას სწავლის მისაღებათ სტამბოლში წასვლას უშლიო. გამოგზავნე უსათუოდ ხაშურშიო. ძმამ მერე კი დართო ნება და გაგზავნა სოლომონთან ხაშურში. მიხეილი მალე მივიდა ხაშურში, აქ დროებით თავის ძმა სოლომონთან იყო და ვიდრე საქმეს მოეწყობოდა, მინამ იგი ერთ ხარაზთან დადიოდა და სახელოსნო საქმიანობას სწავლობდა. სამწიგნობრო სწავლის გარეშე, ასეთ სახელოსნო საქმიანობაშიაც მიხა მეტათ მუყაითი და შრომის მოყვარე ყოფილა.

რამდენიმე ხნის განმავლობაში, უფროსმა ძმამ მოუმზადა ყოველივე სამგზავრო საცვალი, ლოგინი, მთავრობის მოწმობა, მასთან ტანთ-საცმელი, ფული და მის მერე სოლომონმა წაიყვანა ბათუმში, აუღო იქ სამგზავრო ბილეთი, უყიდა საგზაო ტანთ-საცმელიც, მისცა ფული, ჩააბარა რიგიან მგზავრებს და პატარა მიხა გაისტუმრა სტამბოლს სასწავლებლად. მიხეილი, როგორც მკვირცხლი და მხნე, თურმე არც ზღვას შეუშინდა, არც გემით მოგზაურობას. ეს თურმე სიხარულით

ემზადებოდა წასვლას და მხნეობითაც მიაღწია 1878 წ. სტამბოლში, სადაც ის მიღებულ იქმნა ქართველ კათოლიკეთა სასწავლებელში.

სტამბოლის ქართველთ-სასწავლებელში მ. თამარაშვილი ჩინებულად სწავლობდა, ამ დროს სტამბოლში ქართული სტამბაც საქმიანობდა და მის მეთაურ, პეტრე ხარისჭირაშვილიც ხომ ჩინებულად მოქმედებდა ქართველ გვარის სასარგებლოდ, აქ, სასწავლებელში ყოფნის დროს, რაღა ფიქრი უნდა, რომ პეტრე ხარისჭირაშვილს მიხეილ თამარაშვილზედ მეტად დიდი გავლენა ექმნებოდა, ის რითაც შემდეგში მ. თამარაშვილი აღმოსჩნდა და შნო და ცოდნაც გამოიჩინა, მის ყოველივე შეგნების მთავარ მასწავლებლად პეტრე ხარისჭირაშვილი მიგვაჩნია, ამიტომაც იყო, რომ სტამბოლის სწავლის დამთავრების შემდეგ მიხ. თამარაშვილი ისპანიას იქმნა გაგზავნილი სასწავლებლად, ამის ხარჯიც რასაკვირველია იმ დროის ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის კომიტეტის იყო. ისპანიაში საშვალო სწავლის დამთავრების შემდეგ იგი გადავიდა რომში, სადაც მიიღო უმაღლესი სწავლა და ამით მან მიაღწია მღვთის მეტყველების ხარისხის მექონ დოქტორობამდისაც.

საქართველოში სწავლა-განათლების გამო, ცნობებს გვაძლევს ერთის წერილით თვით მიხეილ თამარაშვილი, რომელიც მან მე მომწერა ადრე რომიდამ. იქ ეს სხვათა შორის სჩივის ქართული ენის უსწავლელობის გამო, რადგანაც ჩვენს დროს, ახალციხეში ამ ენას გვარიანად არ ასწავლიდნენო. ამ უსწავლელობის გამო, აი რა სტრიქონები ეკუთვნის თვით მ. თამარაშვილს: „შესახებ ჩემის ქართულად ნაკლებად ცოდნისა, გთხოვთ მოიტეკოთ, რადგანაც საქართველოდამ ჩემი 10 წლის განშორებამ და მერე კიდევ რვა წლის შორს ყოფნამ ბევრი რამ დამავიწყა ქართულის და ესეც უნდა მოგახსენოდ, რომ ბევრი არაფერი ვიცოდი ქართულისა, რადგან ჩვენ დროს, ახალციხის სკოლაში ანბანის მეტი არასფერი მისწავლია“.

ამ ცნობაში მოხსენებული ათი და რვა წელი უნდა ნიშნავდეს შემდეგს: ათი წელი გასულა მას შემდეგ, რაც იგი

რომში მისულა და ბოლოს მღვდლათაც კურთხეულა. ეს დრო ყოფილა 1888 წ. მაშასადამე იგი რომში მისულა 1878 წ. მღვდლად კურთხევის შემდეგ იგი თფილისში შემოსულა. ამ დროს იგი ყოფილა წვერით მოსილი, თუმცა ლათინის წესზედ მდგარა. აქ იგი მცირე ხანს დარჩენილა და მერე ისევ რომში გამგზავრებულა, ამის შემდეგ გასულა კიდევ რვა წელი, როცა მე ეს წერილი მომწერა და მაცნობა თვისი სინანული ქართული ენის შესახებ. მაშასადამე ამ წერილის მოწერამდის უნდა განეცლო სულ თვრამეტ წელს, რაც იგი თავის სამშობლოს მოშორებია და ევროპაში წასულა სასწავლებლად.

აქ მოვიყვან ერთ ალაგს მისის წერილიდამ. მიხეილ თამარაშვილი კონსტანტინეპოლს მისული მცირე ხანს დაშთენილა სასწავლებლად, მას აქ მალე უსწავლია და სწავლის გათავების შემდეგ 1878 წ. რომში წასულა სასწავლებლად, იქ მას სწავლა დაუმთავრებია 1887 წ. ამ წლის ბოლოსვე იგი მღვდლად კურთხეულა და მის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულა, პირველად ეს მოსულა ქ. თფილისში და დამკვიდრებულა პატრი ალფონს ხითაროვთან. რომელიც მაშინ თფილისში მსახურებდა და მთელ კათოლიკობაში კარგს სამაგალითო მოძღვრად ითვლებოდა. სამშობლოში ყოფნა და სამსახური მ. თამარიშვილს დროებით სურვებია, ვიდრე იგი ამ ქვეყნის ქართველ ერის ავ-კარგიანობას შეიტყობდა, თორემ მერე კი ისევ უკან დაბრუნდებოდა. ასეთი წადილით მოსულა იგი საქართველოში.

ამ დროს, მთელს საქართველოს და მასთან მთელ კავკასიის კათოლიკეთა ეკკლესიის ვიზიტატორად იმყოფებოდა პრელატი არლოვსკი, მაშინდელის თფილისის გუბერნატორის ძმა. თფილისში შემოსვლა მიხეილ თამარაშვილმა მღვდელ-მოქმედების შესრულების ნებართვის ასაღებათ პრელატ არლოვსკის მიმართა, მაგრამ არლოვსკიმ ნება არ დართო. უარი უთქვამს, არამც თუ მღვდელ-მოქმედების შესრულებისათვის, არამედ თფილისშიაც დიდხანს ნუ დაშთები და მალე გაემგზავრე უკანვეო. ამ გარემოებისაგან მ. თამარიშვილს ფული

დიდათ დაწყვეტია. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პირველ: პრელატს დიდი მტრობა აქვნდა მხნე და ენერგიულ პატრის ალფონს ხითაროვის, ვისის დიდი მეგობარიც იყო მ. თამარაშვილი და ვისთანაც სცხოვრობდა და მეორე, ამ საქმეში ჩარეული ყოფილა იმ დროის სომეხთ-კათოლიკეთ მღვდელიც.

ამ გარემოების შესახებ იწერება მ. თამარაშვილი: „ამ ჩემს განდევნაში არც სომეხ კათოლიკენი არიან უმანკონი, რაც ღმერთმა მათში ეგვლას აჩუქოს“ და სხვა ასეთი ცნობანი. თფილისიდამ გასვლის შემდეგ. მ. თამარიშვილი მცირე ხანს გორში-კი დარჩენილა, სადაც კათოლიკეთათვის უმსახურნია, სულ ცოტა ხანი, ამ ხნის განმავლობაში მას მოუგროვებია კარგა ფული და ამიდამ ერთი ნაწილი გორის შეღლოთათვის დაურიგებია და მეორე ნაწილი თფილისში გამოუგზავნია ალფონს ხითაროვისათვის და თან შემოუთვლია, რომ ეს ფული მანდაურ ღარიბებს დაურიგეო, ასე მიამბო მიხეილის ძმამ, სოლომონმა და ფულიც მე გამომატანა გორიდამაო. გორიდამ ახალ ციხეს გადავიდა, მაგრამ პრელტისაგან არც აქ აქვნდა ნება მსახურების და დარჩენის. რამდენიმე ხნის განმავლობაში აქ მოისაქმიანა, რაც უნდოდა ყოველივე გაიკეთა და მის შემდეგ განემზადა ისევ რომში წასასვლელად და უმაღლესად სწავლის მისაღებად. მ. თამარაშვილს ასე დევნისათვის ცნობილს პატრს ალფონს ხითარაშვილს დიდი უსიამოვნებაც მოსვლია პრელატთან, მაგრამ არა გამოსულა რა, რადგანაც პრელატის ძმა, როგორც ვთქვით ზემოდ, იმ დროის თფილისის გუბერნატორი იყო. ცხადია, რომ ყველგან გუბერნატორის ბრძანება მიიწერებოდა ხოლმე და ეს ბრძანება მუშაობდაო.

მ. თამარაშვილი თავის სამშობლოს გულ-ნაკლულად გამოსთხოვებია, ამას თურმე გულს უკლავდა ის გარემოება და ამწარებდა, რომ ქართველი ნაცია დღეს რათ არის ასეთ დაცემულს მდგომარეობაში მოთავსებული, რომ მათ თავიანთ სამშობლო ქვეყანაში ქართველობით ალარ სცნავენ და უნდათ მათი მოსპობაო. მართლ-მადიდებელ ქართველთ ხომ მძლავ-

რად ასხვაგვარებენო, ასევე გადააგვარეს ქართველ-კათოლიკენი, გადააგვარეს ქართველ გრიგორიანებიცო. ერთის სიტყვით დღეს ქართველი ნაკია გადაგვარების გზაზედ სდგასო. ასეთის სავალალოს ცნობებით აღვსილი გამგზავრებულა საქართველოდამ რომში.

რომში საქართველოდამ მისული მ. თამარაშვილი კვალად შესულა იქაურს სასულიერო უმაღლეს სასწავლებელში და როგორც სწერდა ბ. ალ. ხახანაშვილი, მ თამარაშვილს ამ სასულიერო უმაღლეს სასწავლებელში კარგის პატივით, ქებით და ღვთის-მეტყველობის ხარისხის კანდიდატობით დაუმთავრებია სწავლა. დღემდე იგი სებასტიანისკენ ერთს კათოლიკეთ ეკკლესიაში მსახურებს. იქაურ მღვდელთა საქმე არა ჰგავს ჩვენებურ მღვდელთა საქმეს. კათოლიკეთ სასულიერონი უფრო შენიშნულნი არიან სათნოს ცხოვრებით, კაცადკაცობით და მრევლის წინაშე ნამდვილ მამობით. ეს არის მათი დევიზი. კათოლიკის მღვდელი თავის მრევლის მღვდელიც არის, მასწავლებელიც, ვექილიც, მკურნალიც და პატრონიც ყოველ საქმეში.

მ. მიხეილ თამარაშვილმა რომში ყოფნა კარგად გამოიყენა, საერო და საღვთისმეტყველო საგნებს გარდა კარგად შეისწავლა ენები: იტალიური, ლათინური, ფრანგული, ქართული ხომ იცის. მკირედ სომხური, თათრული და მასთან რუსულიც შესაფერად. ევროპიული ენები ისე აქვს შესწავლილი, რომ მას თავისუფლად შეუძლიან ამ ენებზედ წერვა-ლოცვა აასრულოს, იქადაგოს და სწეროს, ნამეტურ საყურადღებოა მისი ცოდნა და გარჩევა ძველი ლათინურის და იტალიურის გაურკვეველის ხელისა, რასაც ის თურმე ძრიელ ადვილათ არჩევს ისე, რომ კაცი განცვიფრდება. ერთმა საპატიო ქართველმა, რომელსაც მ. თამარაშვილი ენახა რომში და მისი საქმეები, მიამბო, რომ მ. თამარაშვილის შრომამ გამაკვირვა მეო. წარმოიდგინეთ, მას ისეთი ძველი რაღაც ლათინურად, იტალიურად და ფრანგულათ ნაწერები გაურჩევია, რომ მის გაგებას ეშმაკიც ვერ მოახერხებსო.

რომში დარჩენილს მ. თამარაშვილს დიდათ ეთანაღრეებოდა გული ქართველ კათოლიკობის უარყოფაზედ და ამიტომ მან ამაზედ შრომაც დაიწყო. მასალების კრება. კათოლიკობის ცნობების ძიებამ მას თვალწინ გადუშალა ყველა ის ძვირფასი მასალები და ქართველ მეფეთა და მღვდელთმთავართა მიწერ-მოწერანი, რაც-კი საქართველოდგან ადრიდგანვე ივზავნებოდა რომის პაპების, კარდინალების და ხელმწიფების წინაშე. მან დაიწყო ქართველ კათოლიკობაზედ ცნობების შეკრება და 1893 წ. პარიჟის ერთს ფრანგულ გაზეთის სამს ნომერში დასტამბა წერილი: ქართველ კათოლიკობაზედ. მის შემდეგ ამ გაზეთსა და სხვა გაზეთებშიაც მ. თამარაშვილს ხშირად უწერია სხვა და სხვა წერილები საქართველოს შესახებ. უწერია როგორც ფრანგულად, ისევე იტალიურად. რამდენიმე წერილი მეც გამომიგზავნა. საზოგადოთ მ. თამარაშვილი ქართველ გვარის სასარგებლოდ ევროპიულს გაზეთებში ხშირად სტამბავს წერილებს. ბ. ალ. ხახანაშვილი სწერდა, რომ მ. თამარაშვილის შრომამ მე ცხადლივ დამიმტკიცა ის უტეხარი ჭეშმარიტება, რომ ქართველ კაცსაც შესძლებია ვრცელი თხზულების წერაზ.

ვიმეორებთ, რომ ქართულის ისტორიულის მწერლობის ასპარესზედ მ. თამარაშვილის შრომა ფრიად შესანიშნავია. გვითქვამს და კვლავაც ვიტყვით, რომ მიხეილ თამარაშვილის შრომის გარეთ შეუძლებელია საქართველოს ისტორიის დაწერა... ასეთ ძვირფას მასალების აკინძვით დიახაც მეტად დიდი შრომა და ასპარეზი უძევს მ. თამარაშვილის წიგნს. მას დიდი დაუფასებელი სიკეთის მოტანა შეუძლიან ჩვენის ისტორიის წინაშე, დიდის ვალის შესრულება და გადახდა წინაშე სამშობლო ერისა და ისტორიისა. ხოლო ჩვენგანაც პატივსაცემია და ყურადღების მისაპყრობი. სამწუხაროდ ქართველებში ასეთ კაცთა შრომაც ისევე შთება დროებით, როგორც ადრე ერთის და ორის ქართველთ მშრომლების დაშთენილა. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს ერსა და ქვეყანას მანანასავებ მოევლინა ერთი ქველი მამულის შვილი, სახელდობრ სტეფანე ზუბალა-

შვილი რომელმაც მიხეილ თამარაშვილის პატივსადებ შრომას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და გარდა ამისა, რომ მ. თამარაშვილს შესაფერი დახმარება გაუგზავნა თვით მის შრომის დაბეჭდვისთვისაც 2000 მანეთზე მეტი დახარჯა.

ჭეშმარიტად ქართველებს რომ მრავლად ჰყვანდეს ასეთი მეცენატები, მაშინ ჩვენს საზოგადო თანამშრომელთ რაღა გაუჭირდებოდათ, ბევრი გამხნევდებოდა შრომის დროს, ბევრი გამაგრდებოდა წელში და მით თავის ერსა და მწერლობასაც ერთი ათად მოუტანდა სარგებლობას, მაგრამ საუბედუროდ ასეთი კაცები ჩვენ ერთობ ცოტა გვყავს და მიტომაც არის რომ ყოველს ჩვენს მოღვაწეს გული აქვს წამხდარი. რამდენ მშრომელს ამოუშრა პირში ნერწყვი, რამდენი გაიჭიმა უსახსროდ, რამდენი გამოესალმა და გამოესალმება უდროვოთ მზესა და მთვარეს, ამას რიცხვი არ ექმნება, რადგანაც ჩვენ ქართველნი სამაგალითო ქველ-მოქმედებით ერთობ ღარიბნი ვართ. ასეთ პირთა გარეშე თვით დრო-გამოცემათა მწერლობასაც კი რომ მივაქციოთ ყურადღება, იქაც კი ამასვე დავინახავთ, რომ ყოველს ასეთს გამოცემას სული კბილთ უჭირავს და რის ვაი-ვაგლახით არსებობს. ამიტომ არის დიდი საქმე და ბედნიერება ერისათვის, სადაც შრომას მცოდნე დამფასებლები უჩნდებიან და მშრომელთ ახალისებენ. ასე და ამ გვარად წაახალისა მ. თამარაშვილი მხოლოდ ერთმა ქართველმა სტეფანე ზუბალაშვილმა.

მ. თამარაშვილის შრომა ჩვენს მწიგნობრობაში არის უშესანიშნავესი შრომა, თვალთ-საჩინო, სადაც „ქართლის ცხოვრება“ იქმნება და სხვა მისთანა წიგნები, იქ არც ეს წიგნი ჩამორჩება უკან. ამიტომ ჩვენ სრულის სიამოვნებით და სიხარულით ვეგებებით მ. თამარაშვილის შრომას. მისი შრომის დაფასება დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან, ამის გადახდა მომავალში შეეძლება მხოლოდ ქართველ განათლებულს საზოგადოებას, რომელიც შეიგნებს მ. თამარაშვილის საქართველოს ისტორიისთვის დაუფასებელ შრომის მნიშვნელობას. მოვალეა ყოველი ჩვენი გულშემატკივარი პირი, რომ ამ მოძღვ-

რის შრომას თვალ-ყური ადევნოს, რადგანაც მის შრომაში საქართველოს შესახებ ბევრს ახალს, უცნობს და მეტად საინტერესო ცნობებს ამოიკითხავს. ცნობების უმეტესი ნაწილი თავთავის დროის ლათინის ბერებისაგან არის ნაწერი, აქედამ მეტად კარგად სჩანს, თუ საქართველოს პოლიტიკურად უძლურება რა მიზეზებით და ვისის წყალობით ხდებოდა ხოლმე, კარგად სჩანს, თუ ჩვენი ქვეყანა რა მიზეზებით ეცემოდა და ემხობოდა. ვინც-კი წაიკითხავს ამ შრომას, იგი ამაზედ ცხადათ დარწმუნდება, მას ამ ცნობებით გული და სული აუთრთოლდება, ბევრს გულის ასაძგერს ცნობას ნახავს ბევრს უცნობს ვითარებას მიესალმება ჩვენის ბედშავი ქვეყნის ისტორიის შესახებ.

კითხულობ ამ ძვირფას შრომას, კითხულობ სხვადასხვა საუკუნეთა ლათინთ მამებისაგან ნაწერს ცნობებს და ჰკვირობთ მასზედ, თუ ამდენ უბედურებას გარეშე, ნეტა ეს ქვეყანა და ერი ან კი როგორ გადარჩა ამოდენა მოზღვაებულს მტრებს. ყოველი ცნობა, ყოველი სიტყვაც კი ამ პატრების თქვენს გულში სძრავენ ღრმა შთაბეჭდილებას, მწარე მგლოვიარობას ჩვენს ტომზედ, ჩვენს წარსულზედ, ჩვენს ბედშავს საქართველოსა და მის მდგომარეობაზედ. სწორედ საგლოველია ჩვენი წარსული, სავალალო და სატირელიც კი, გულით სწუხარ, სულით იტანჯები იმ დროს, როცა შენის სამშობლოს ასპარეზზედ ხედავ აუარებელს უძლურებას და იმავ დროს, შინათ გამცემთ, დამლუპავთ და ქვეყნის დამნაცრებელ ფარფარუჭობას. ასეთის სურათების ჭეშმარიტი თავდებია მ. თამარაშვილის შრომა.

საქართველოს ერის შინაგან ყოფა-ცხოვრების შესახებ, მის მოქალაქობის, ხელოსნობის, აღებ-მიცემის, ბატონ ყმობის, კაცთა განსყიდვის, დიდი შიმშილობის სხვა და სხვა დროს, დიდის ჭირიანობის და სხვაც ბევრი ასეთების მეტად იშვიათი ცნობებია მოთავსებული XIII საუკ. შემდეგიდამ.

ვინც კი მოასწრო და გადაშინჯა ეს შრომა, ყველანი აღტაცებულნი დაშთნენ. თვით ანტონ ფურცელაძე, რომე-

ლიც საუკეთესო მცოდნეთ ითვლება საქართველოს ერის მოსპობის დროის ანუ XVII საუკუნისა თვით ესეც კი აღტაცებულია ამ შრომით, მის მადლობას საზღვარი არ უძევს. ასეთისავე შეხედულობის გახლავან ყველა ჩვენი წარჩინებული მწერლები და მოღვაწეები. ჰკვიროობთ მასზედ, თუ ამოდენა დაგეშილ მუსულმანთ მტრობას როგორ გადარჩა საქართველოვო. ვკითხულობთ ამ შრომას და სხვათა შორის ერთ ალაგას ამის პასუხს გვაძლევს სიმონ მეფის წერილი, რომის პაპთან გაგზავნილი.

აი რას სწერს სიმონ მეფე პაპს ერთს წერილში, ეს მხოლოდ წერილის ერთი ადგილია ამოღებული: „ჩემ თავს გავსწირავ ერთიანად და ეგრეთვე ჩემს ქორფა შვილებსა; დავდვრი ჩემს სისხლს, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე, ვიდრე პირში სული მიდგია და ხელს კი არ ავიღებ ოსმალებთან წინააღმდეგ ბრძოლაზედ და არც არაოდეს უქმად ვუოფ იმ დაუფასებელ სისხლს, რომელიც იესო ქრისტემ დადვარა ჩვენთვის“. აი, ასეთის გმიროობით ოცნებობდენ ქართველთ კეთილ ადამიანნი და ასე იცავდენ ჩვენს ქვეყანას მტრებისაგან. არ იფიქროთ, რომ ამ ჰაზრის მარტოდ სიმონ მეფე იყოს, არა ამ ჰაზრისავე იყო ყოველი კეთილი გლეხი, აზნაური, თავადი, მღვდელი და ბერი. ვინც უარგისი იყო და წყეული, ქვეყნის გამსყიდავი და გამცემი, იგი ქართველთ შორისაც იყო და სხვაგანაც. აი ეს გახლავთ ჩვენი ღირსება და სამკაული რომ იმდენი ხანი ისე შევინახეთ ჩვენი გამგეობა. მეორე მხარე, რომელმაც შეგვინახა ჩვენ აქამომდე და კვლავაც ამან უნდა შეგვინახოს, გახლდათ შემდეგი.

თუმცა ნახევარი საქართველო გათათრდა, თუმცა 800 ათასი მეტი სხვა და სხვა დროს სპარსეთში იქმნენ ქართველნი გადასახლებულნი, თუმცა ჩვენს სამშობლოში ხშირად დიდს უბედურებაშიაც ვიყავით, მაგრამ მაინც ქართველ კაცის გული და სული საქართველოს ნიადაგზედ ისე იყო მიბმული და მიჯაჭვული, რომ იგი საქართველოს ბინას არას შემთხვევაში არ დასტოვებდა, არას გასაჭირში საქართველოდამ სხვაგან არ გადასახლდებოდა ისე, როგორც ეს სომხებმა იციან,

რომ სომეხმა კაცმა თუ კი გაიგო სადმე რამე ადგილის ვაჭრობა, თუნდ უშორეს ქვეყნებში, იგი მაშინათვე სტოვებს სომხეთს და საყოველთაოდ გარდასახლებას ეძლევა სხვაგან და იქ სახლდება სამუდასოთ. სულ ამის წყალობა გახლავსთ, რომ სომხები დაბნეულნი არიან აქა-იქ და მით მათი სამშობლოც ცარიელდება სომეხთა რიცხვით, იქ სხვები მრავლობენ. ეს არც ჩვენთვის გახლავთ კარგი, რომ მეზობელ-ძმები ისე გვცილდებიან თავიანთ ქვეყნიდამ.

ქართველი კი ამას მოცილებული იყო ძველადგანვე, მათს საუნჯეს და დიდს დარგს მხოლოდ სამშობლოში დაშთენა შეადგენდა, თავის მიწაზედ ყოფნა, ცხოვრება და სიკვდილი და მიტომაც იყო, რომ იგინი ამისთვის მეტად დიდს ტანჯვასაც იტანდნენ და სამშობლო მიწას კი არ ესხლიტებოდნენ. ასეთის სისხლის ღვრით შეინახა ქართველმა თავის სააშობლო ქვეყანა და ასეთის გმირობით, სისხლის ღვრით და მწარის ცრემლებით მოაღწია ამ მშვიდობიან დრომდე. ჩვენი მოწმობის სრული თანამდებია. მ. თამარაშვილის შრომა. აქ ქართველთა შესახებ არის ისეთი ცნობები, რაც სისხლის ცრემლით არის ამოსაკითხი. აქ ნახავთ ბევრს რასმე ქართველის ერის ვერაგობისას, ღალატისას, გაცემისას, მაღალთაგან დაბალთა ჩაგვრას, ყმების დაყიდვას, გათათრებას, გასომხებას, გაფრანგებას და ვინ იცის რამდენ გულის და სულის საგრძნობი ცნობები არ მოიპოვება.

К 6113

კითხვის დროს, მკითხველი რამდენიც უფრო მწარე ცნობებს და წუთებს ხედავს ქართველის ერისას, იმდენი მას უფრო უცხოველდება სიყვარული ჩვენის ბნელის ეტლისა, დატანჯული სამშობლოს არსებობისა. საჭიროა, ჭეშმარიტად საჭირო, რომ ასეთი ისტორიული წიგნები ჩვენს ენაზედ ხშირად ისტამბებოდეს. საჭიროა, რომ არამც თუ მარტოდ[illegible] ერთი წიგნი, არამედ რაც კი რომის არქივებში [illegible] ზედ დაწერილი საქართველოს შესახები მასალები [illegible], ყველა იგინი შეკრებილ იქმნეს და დასტამბულ[illegible] როგორც

თავ-თავის ენაზედ, ისევე ქართულზედ თარგმანით. ეს მასალები ჩაითვლება უმთავრეს წყაროდ, უმთავრეს გასაღებათ ჩვენის ისტორიის მასალების გაცნობის, შემუშავების და საფუძვლიანი ისტორიის დაწერისთვისაც, უამისოდ კი შეუძლებელია, რომ საქართველოში ვინმემ საქართველოს ისტორიის წერას ხელი მოჰკიდოს. ამის სრული საფუძველია მ. თამარაშვილის შრომა, რომლისთვისაც ჩვენ, ქართველნი, ჩვენს თანამემამულე მ. თამარაშვილს წრფელს მადლობას ვუძღვნით და კვლავაც გვენმტრება მისი შრომის გაგრძელება.

მიხ. თამარაშვილის შრომა სრული ნიშან-წყალია მისი, რომ რამდენათაც ჩვენ უნდა საქართველოს ისტორიული მასალები საქართველოში ვეძებოთ და ვკრიბოთ, იმდენადვე იგი უნდა ვსძებნოთ უცხოეთში. ხშირად, უცხოეთის მოგზაურ და მწერალთაგან უფრო საფუძვლიან მასალებს ვპოვულობთ, ვინემც თვით „ქართლის ცხოვრებასა“ და სხვამ ამ გვარს წიგნებში. ამის სრული მოწმეა ის ფაქტი, თუ ლათინის ბერებს რა მშვენივრად აქვსთ საქართველო აღწერილი, და ქართველ აღმწერნი კი ყოველთვის მეტად არევ-დარევით მოგვითხრობენ და გულ-გრილად, აბდა-უბდათ. ამისთვის დავასახელებთ თუნდ ლამბერტისაგან XVII საუკუნეში სამეგრელოს აღწერას, რომელ მშვენიერ აღწერაც ალ. ჭყონიამ იტალიურიდამ ქართულს ენაზედ სთარგმნა და დასტამბა.

კარგად სჩანს, თუ ლათინის ბერები საქართველოს აღწერაში რა შნოსა და ჭუნარს იჩენდნენ, ქართველთ ყოველ ნაკლს, გაჭირებას, მწუხარებას, მონობას, ტყვეობას და გარდასახლებასაც კი რა დაწვრილებით ასწერენ, რა დალაგებით მოუთარობენ. საქართველოს ქართველი აღმწერნი კი ყველა ასეთ კითხვებს და შინაურ საქმეებს სულ არ ეხებიან. თვით XVII საუკ. ქართველთ ღიდი „ემიგრაცია“ ანუ გარდასახლება სპარსეთში „ქართლის ცხოვრებაში“ ორი სიტყვით არის მოხსენებული, ლათინის ბერებს კი ეს სამწუხარო „ემიგრაცია“ დაწვრილებით აქვსთ აღწერილი, ყოველი სტრიქონი მათი ბრწყინავს მაღალის სიბრალულით. ყოველი სტრიქონი სძრავს

მაღალს სამგლოვიარო გარემოებას, გოდებას. ყველა ესენი კარგად სჩანს მ. თამარაშვილის შრომიდამ.

მ. თამარაშვილის შრომის შემდეგ ჩვენ ცხადი საბუთი გვაქვს, რომ საქართველოს საისტორიო მასალები საქართველოს გარეშეც უნდა ვეძებოთ და ნამეტურ სპარსეთს, ქალდიას, ოსმალეთს, ბიზანტიას, სომხეთს, რომს და რუსეთს. ამ ქვეყნებში ისტორიული მასალების ძებნისთვის საჭიროა, რომ ჩვენ მომზადებული კაცებიც უნდა გყავდეს, რომ მათ იცოდნენ ძებნის გზა, კვალი, მასალების ბინა, რათა მის საშუალებით ყოველივე ადვილად შეასრულონ, უამისობა კი ჩვენგან შეუძლებელია, რადგანაც საქართველოს ისტორიის დასაწერად მარტოდ საქართველოში დაშთენილი მასალები არ კმარა. ჩვენ ისტორიას სხვაც ბევრი რამ მოეპოვება უცხოეთში, რომ კაცები გვყვანდეს და ძალა გვქონდეს.

სპარსეთში უნდა ვეძებოთ ისტორიული მასალები მიტომ, რადგანაც საქართველოდამ სპარსეთში რამდენჯერმე ქართველებს ოცი, ორმოცი და ასი ათასობითაც ასახლებდნენ. იქ შთებოდნენ ესენი და უკანასკნელ ძლეულნი და დატანჯულნი ისლამსაც უკავშირდებოდნენ. ასეთ პირთ გარდასახლების დროს თან მიჰქონდათ დიდძალი წიგნები, ხელოვნურათ ნაკეთნი და ნაკერნი, ხატები, სხვა და სხვა ძვირფასი შესამოსელნი და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა ძვირფასნი, რომელთა ზოგსაც ლათინის ბერებიც აღგვიწერენ. ეს რომ ასეა და სპარსეთში დიდი ძალი მასალები უნდა იყოს, ეს იქიდამაც კარგად სჩანს, რომ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში სპარსეთიდგან საქართველოში თათრის ვაჭრებმა ქართული ძველი წიგნები ჩამოიტანეს და დაყიდეს. სპარსელ ქართველებშიაც კი ყოფილა შენახული სხვა და სხვა ძველი ნივთები და წიგნები. დღეს, სპარსეთის ქალდიას სცხოვრებს პატრი რაფაელ ნებიერიძე, მცოდნე ყველა აზიური ენების. ეს პატრი რომში სწავლობდა, იქ დაამთავრა სწავლა და მერე მღვდლათ ეკურთხა. იგი იტალიიდამ ქალდიაშია გაგზავნილი კათოლიკობის საქადაგებლად, რასაკვირველია ქალდეურის ენით. ამ პატრმა

შრომა მიიღო და სპარსეთში, ქართველთ შესახებ რამდენიმე ძვირფასი მასალებიც შეკრიბა, რომელნიც „ივერიაში“ დაბეჭდა. ვიტყვით, რომ სპარსეთში თვით ალექსანდრე ბატონიშვილის კვალსაც კაი დამჩნევა ექმნება, მათი საფლავის ქვათა წარწერებიც მრავლად სწანს. ქართველთ ნაშთთა ნაწილები იქაურს სომეხთ და კათოლიკეთ ეკლესიებშიც უნდა იყოს დაცული.

ოსმალეთში უნდა ვეძებოთ მიტომ, რადგანაც რაც სამცხე-საათაბაგო დაეცა, მის შემდეგ ოსმალეთის მთავრობა თავის ქვეშევრდომ ქართველებს ყველა ისტორიულ და საგვარეულო მასალებს ართმევდნენ და ქართულის მაგიერ ოსმალურს აძლევდნენ, ასეთ მასალათა წაღების პირველ ხანაა 1720 წ., სჩანს, შემდეგ 1765 წ., 1830 წ. და 1851 წ. ყველა ეს უძველესი ცნობანი კონსტანტინეპოლს, ერთს არქივში უნდა იქმნეს დაცული.

დოკუმენტებში უნდა მოიპოვებოდეს მასალები IX საუკ. X, XI და შემდეგ საუკუნოების. ასეთ მასალების წაღების ამბები აჭარის ბეგებში დღესაც კარგად იციან. ამ ძვირფას მასალების გასარჩევად ერთ დროს, თფილისიდამ კონსტანტინეპოლს დ. ბაქრაძეც იქმნა გაგზავნილი. მან მასალების კვალს ვერ მიაგნო. ვიტყვით, რომ ოსმალეთშიაც დიდი ძალი ცნობები უნდა იქმნეს ქართველთა შესახებ. ნახევარ საქართველოც ხომ ჯერაც მათ ხელშია. მეტად ბევრი ძვირფასი ნაშთებია იქ დღემდე დაშთენილნი.

ბიზანტიას უნდა ვსძებნოთ მიტომ, რადგანაც ყველა ქართველი საეკლესიო და საერო მწერლები იქ აღიზარდნენ. ათონზედ გააშენეს მონასტერი, იერუსალიმს და სხვაგანაც, სადაც ქართველნი ძველადგანვე გზავნიდნენ საქართველოდამ დიდ შეწირულებას, მსახურად ხალხსაც კი გზავნიდნენ. თუ ამ ადგილებში რამოდენი საუნჯეა ქართველთაგან დატოვებული, ეს კარგადა სჩანს პროფესორის მირის ნაწერებიდამ, ა. ცაგარლის, ხანანაშვილის, დ. ბაქრაძის, პ. იოსელიანის და

სხვათაც მრავალთა. რადგანაც ეს ჩვენთვის ცხადია, ამიტომ აქ ამაზედ მეტს არას ვიტყვით.

სომხეთს უნდა ვეძებოთ ისტორიული მასალები მიტომ, რადგანაც ქართველთა და სომეხთ ძველადგანვე დიდი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთში, მეზობლობა, მისვლა-მოსვლა და ნათესავობაც. ჩვენის ტომის ამბებს მათი მეისტორიენი ბევრს ალაგას მოგვითხრობენ. მათ ქვეყნებში ბევრი რამ მასალები იქმნება ჩვენ შესახებ დაშთენილი. მაინც სომხურ ენას დიდი ნათესაური კავშირი აქვს ქართულ ენასთან. ართვინს სომეხთა ეკკლესიაში, ინახება ერთი ძველი ქართული ხელთნაწერი სახარება, პერგამენტზედ ნაწერი. იშვიათი წიგნი, სომეხნი მზს ფაქიზათ ინახავენ. ესეც ცხადი ნიშანია ჩვენის მოსაზრების სომხეთში დაშთენილ ქართულის ისტორიულის წყაროების და ნაშთების პოვნის.

ქალდიას უნდა ვეძებოთ მიტომ, რადგანც პატრის რაფიელ ნებიერიძის ცნობებით იქ დღესაც კი სცხოვრებენ სპარსელ ქართველთა შთამომავალნი, რომელნიც ტყვეობის დროს იგინი ბედს ქალდიასა და ნინევიაში გადუტყორცნია, იგინი ქალდეურს მამა იაკობის სჯულს დაკავშირებიან. მათშიაც მოიპოვება თურმე ცნობები საქართველოს და ქართველობის შესახებ.

აბაშეთშიაც-კი უნდა ვსძებნოთ ცნობები, რადგანაც ერთ დროს, იქიდამ საქართველოში მოიტანეს ერთი ქართულ წარწერებიანი ძვირფასი „ოლარი“.

რუსეთშიაც ხომ ფიქრი ან უნდა, დიდი ძალი მასალები იქმნა გადატანილი როგორც ძველად, ისევე XVIII საუკუნეში ვახტანგ მეფისა და მის შვილი ვახუშტისაგან. ამათ ქართული წიგნები ჩარდახიანის ურმებით წაიღეს. შემდგომ ამათი 1800 წლების შემდეგ, რაც ქართველთ ბატონიშვილები რუსეთში გადაასახლეს, მათაც დიდი ძალი წიგნები და მასალები წაიღეს თანა, სულ რუსეთში გადიტანეს, საქართველოში მათ აღარაფერი დაშთათ, სულ თან წაიღეს. დღეს, რომ რუსეთის საზოგადო ბიბლიოთეკები და მუზეუმები სავსეა საქართველოს

ერის ისტორიულის მასალებით.» მაგალითებრ: რუმიანცოვის მუზეუმში ინახება იშვიათი „ქართლის ცხოვრების“ ხელთ-ნაწერის ვარიანტი და სხვა ცნობებიც. ყაზანის უნივერსიტეტის სამკითხველოში ვახუშტის-მიერ შედგენილი საქართველოს რუქა, ძვირფასად ნაკეთი, ფერადის წამლებით და მეტად ფართო ზომის. პეტერბურგში და მოსკოვში დაცულ ქართული წიგნების და მასალების ცნობები ხომ ჩვენში ყველამ იცის, თვით სახელმწიფო არქივებშიაც მოიპოვება სხვა და სხვა ძველი ისტორიული მასალები.

რომში და იტალიაში რომ უნდა ვსძებნოთ, ამასაც ხომ ეჭვი არ უნდა, რადგანაც ეს ცხადათ დაასაბუთა პატრის მიხეილ თამარაშვილის შრომამ. ამას დუმილი აღარ სჭირს, საჭიროა მხოლოდ მ. თამარაშვილის მსგავსი მშრომლები გვყვანდეს, თორემ მაშინ ჩვენთ თვალთ წინ მრავალი ამისთანა ძვირფასი მასალები გამოქვეყნდება და გადაიშლება ქართველი ტომის წინაშე.

თუმცა ჩვენ მეტად პატარა ხალხად ვითვლებით და მასთან ზომას გადასულ უძლურ ზარმაცებად, ხოლო საერო ისტორიის ასპარეზი კი დიდი, მრავალმხროვანი და ფართო გვაქვს... ქართველებში ნურვინ იტყვის, რომ საქართველოს ისტორიის დაწერა ვისმეს შაეძლოს, ვიდრე მას ევროპიული და აზიური ყველა ენები არ ეცოდინება, მათი მწერლობა და ისტორიები და აქ მოთვლილ კუთხეებში შეენილ მასალებიც არ ექმნება გაცნობილი. ამის საჭიროებას მ. თამარაშვილი ცხადათ ასაბუთებს. აბა ერთი ბრძანეთ, თუ რა უნდა იყოს ის დაწერილი საქართველოს ისტორია, სადაც მის დამწერს რომში მოპოებული ეს შესანიშნავი ცნობები ხელთ არ ექმნეს, ხელთ არ ქონვას გარდა მისი ხსენებაც არ იცოდეს. აი ასეთი ძნელი დასაძლევი საქმის გასაღებათ ითვლება მ. თამარაშვილის შრომა.

ჩვენ, ქართველებს, ბევრი რამ ნაკლი გვაქვს და ჩვენს ერთს უმთავრეს ნაკლს ისიც შეადგენს, რომ ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი მამულის შვილობა და მისის დედა-აზრებით მეც-

ნიერების ლტოლვა და ძიება. მარტოდ ისტორიული წერილების წერა და წარსულის მოგონება არ კმარა... ისტორიულ წერილებს და ჩვენის წარსულის მოგონებას ხშირად ჩვენი ტომის შემჭმელნიც აგვიწერენ და მოიგონებენ, მაგრამ მიდამ რა გამოვიდა ჩვენთვის, არაფერი. მათი ნაწერი და მოგონება მხოლოდ ჩონჩხია, ანუ უადამიანო გმობა და მტრობით სავსე ზიზღი. ჩვენში, აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, რომ ყოველი მეისტორიე, უსათუოდ წმინდა მამულისშვილიც უნდა იყოს, მეტრფე და მეძიებელი თავის ტომის წარსულისა და მოკამათე და მებრძოლი თანამედროვე უსწორ-მასწორობისა, უსამართლობისა.

ასეთ მეცნიერ მამულისშვილთა რიცხვს თხოულობს ჩვენი სამშობლოს მდგომარეობა, ჩვენი ტომის განვლილ დროთა ცნობები, მის აწონ-დაწონვა კარგად, პატივისცემა და ყოველივეს კანონიერად ძიება და კვლევა. სადაც მ თამარიშვილის შრომა იბეჭდება, იმ ერის ისტორიის ასპარეზზედ მჩატედ მოქცევა და მშრალი წერილების წერა აღარ გამოდგება. გინდ რომ ამის საბიელზედ მეცნიერი მწერლებიც გაჩნდნენ და იგინი ყოველს მოვლენას, შემთხვევას და ცნობას მეცნიერულადაც ხსნიდნენ, მაინც მათთვის აუცილებელს საჭიროებას უნდა შეადგენდეს წმინდა მამულიშვილობაც. ამის მოვალეა ყოველი ჩვენთაგანი და ნამეტურ ისტორიული წერილების დამწერნი. ამის ნიშან-წყალი ჩვენ უკვე ვნახეთ, ესენი გახლავსთ იაკობ გოგებაშვილის ნაწერები, აკაკის შრომანი, ილია ჭავჭავაძის ნაწერები, ანტონ ფურცელაძის „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ“ და ნ. ხიზანაშვილის ისტორიული წიგნები.

ეს ჩვენთვის მიტომ გახლავსთ საჭირო, რადგანაც რამდენათაც პატივსაცემია ჩვენი წარსული, იმდენადვე სავალალოა და სატირელიც. რამდენათაც სასიყვარულოა და სატრფო, იგი იმდენადვე შესაძულველიც არის და ასათვალწუნებელიც. ყველა ამაებს ჩვენ მიტომ ვამბობთ, რადგანაც ჩვენი წარსული მრავალნაირია ცხოვრების წესებით და მრავალფე-

როვანი, მასში კარგიც ბევრი სჩანს და ავიც, კაცის სულის გასაძლიერებელს მხარეებსაც ბევრს ვნახავთ და სულის შემხუთავსაც ბევრს ვპოვებთ. ასეთს დარგს და ისტორიის ღირსებას ბევრის ტომის ისტორიაც არ შეედრება. ასეთი ღირსება ჩვენს ისტორიას მისმა საზღვრებითი, ანუ მეზობელთა პიროებებმა შესძღვნა, მათმა გვაროვნულმა და სარწმუნოებრივმა მტრობამ, შინაურმა ცხოვრების უსწორ-მასწორო წესებმა და მჩქეფარე მღელვარებამ. ამიტომ ჩვენ ისტორიას საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, ჩვენი წარსულის კვლევა და ძიება არ შეადგენს კერძოებითი საგანს და მის გამომხატველობას. ქართლის ერის ცხოვრებას საზოგადო ხასიათი აქვს, მსოფლიო მნიშვნელობა, მხოლოდ ამისთვის საჭირონი არიან მამულისშვილობით აღვსილ მეცნიერ-მეისტორიენი.

დღეს, ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სადაც მ. თამარაშვილის მიერ ანუსხული ისტორიული მასალები იბეჭდება, იქ ძველის კილოთი მწერალ-მეისტორიენი აღარ გამოდგებიან. მშრალად მწერალთ რიცხვს ფერი გაუხუნდა, ვადა წაუვიდა. აქამდის ყოფილ მეისტორიენი მხოლოდ ცნობების საკრებათ გამოდგებიან და ჰაზროვნებით აღვსილ ისტორიულ მწერლობისთვის კი არა. ამისთვის არც დრო იყო, მათ გარემოებამ ესეთი ბედი არგუნა. ვრცელს ისტორიულ ცნობებს კარგი მამულისშვილ-მკლევარნიც სჭირია, დღეს. ჩვენთვის ისტორიაში საჭიროა პირველ ხარისხოვან მეისტორიე მეცნიერ მამულისშვილები. ჩვენთვის საჭიროა ლუი ბლანი, ედგარ კინე, ედგარ შინე, ბოკლი, დრეპერი, ზიბელი, გერვინუსი და შლოსერი. ასეთი პირნი მ. თამარაშვილის მსგავსთ ცნობებით შემოსვენ თვის მწერლობას, თავიანთ მეცნიერულს მამულისშვილურს ნიჭიერებას შთაბერვენ, ყოველს სტრიქონს მაღალის მეცნიერულის კრიტიკით მორთავენ და შემუშავებულს ნაწერს მეცნიერულს გამოკვლევას მისცემენ საქართველოს შვილთა საკითხავად.

ასეთმა ისტორიულმა წიგნების კითხვამ უნდა მორთოს ართველ მკითხველის გონება, მან უნდა შემოსოს მაღალის

მამულისშვილურის სულოვნებით, მან უნდა განასპეტაკოს ქართველთ გონიერება, მან უნდა აღძრას მათში მამულისშვილობა, მან უნდა შეაყვაროს ქართველს საქართველო, მისი ვრდომილი საწყალი ერი, მეცნიერება, მეცნიერული მწერლობის ძიება. ასეთ მეისტორიეთა ნაწერებით ქართველი მკითხველიც საქართველოს ისტორიის კითხვის დროს თან შეისწავლის ყველა ძველს და ახალს სამეცნიერო საგანთა და ფილოსოფიურ კითხვებს, არ დარჩება არც ერთი დარგი მეცნიერების და ფილოსოფიის, რომ მათ არ გაითვალისწინონ. როგორც დრეპერის წიგნი „გონებითი განვითარება ევროპის ერის“ ახდენს მკითხველზედ გავლენას, და კითხვის დროს, მკითხველი სწავლობს ყველა ძველთა და ახალს მეცნიერების, ასე რომ ამ ისტორიის წაკითხვით მკითხველს თვალთ წინ ეშლება მთელი საუნჯე კაცობრიობის განვლილ დროთა ფილოსოფიის მეცნიერულად თუ სადა ცნობებით. ასევე ახდენს ბოკლის თხზულება: „ცივილიზაციის ისტორია“ ლუი ბლანისაგან დაწერილი, „საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია“ და რამდენიმეც სხვანი. ამ ისტორიული წიგნების კითხვით მკითხველს გონება უნათლდება, ისტორიულ მოვლენასთან ერთად სწავლობას ძველის დროდამ ყოველ ხანას და მის დროის მკურნალობას, მეურნეობას, ვარსკვლავთ რიცხვას, ეკონომიას, სოციალოგიას, ბოტანიკას და ვინ იცის რამდენ კიდევ სხვებს და მათ ძიებას და ბუნებითი საიდუმლოების მიზეზებსაც.

ასეთ მწერლობას ჩვენი ცხოვრება და მდგომარეობა უფრო თხოულობს, რადგანაც ჩვენი მდგომარეობა უფრო გულსაწვავია და ცეცხლით სავსე, რამდენათაც იგი ღირსია მაღალის ყურადღების, იმდენათვე იგი დაკნინებულია ბევრნაირის მხარეებით, ამიტომ უფრო გახლავსთ მის კარგად აწონ-დაწონვა და შედარებითის კრიტიკით ძიება. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ქართველებს კი სულ არ გვაქვს ზრუნვა ასეთ ისტორიულ წიგნების წერისთვის, მასალების კრების მიმდევრობა და კარგის მეთოდის ძიება. ნუ თუ ცხადათ არა სჩანს, თუ ჩვე-

ნი ისტორია რა რთული რამ არის, რა მრავლნაირი და მრავალფეროვანი...

ძნელად რომ სისხლის ღვრის ასპარეზზედ ბევრს ხალხს ჰქონდეს იმდენი სისხლი დაღვრილი, რამდენიც ქართველებს. ქართველი ერის ცხოვრება სწორედ სამაგალითო დრამას წარმოადგენს, სამაგალითო ტრაღედიას. საოცარს მდგომარეობას არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიაც, ამის სრული საბუთია მ. თამარიშვილის შრომა, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ქართველთ ყარიბთა მდგომარეობა უცხოეთში, ნამეტურ სპარსეთში, სადაც ქართველთ პყრობილნი გამოსცდიდნენ ყოველნაირ ტანჯვა-მწუხარებას და ვაებას არა მარტო დღიურის ცხოვრებისათვის, არამედ თავიანთ მთელის არსებობის და პიროვნებისათვისაც. მუსულმანთაგან მათი დევნა, სჯულის გამოცვლისთვის ათასი ჭირის დათმენა, დიდი ტანჯვის ატანა თქვენს გულში სძრავს მწარე გლოვნას განვლილ დროის ბედშავ ქართველობაზედ.

ამ ძვირფას მასალათა კრებულში მარტო ასეთი სულის შემაწუხებელი სურათები არ არის აწერილი, აქ ბევრი სხვა რამ ძვირფასი ცნობებიც მოიპოვება. ეს ცნობები არის ქართველთ სამოქალაქო ნაწილის, საგლეხოსი, საბატონოსი, სჯულის, ხასიათების სწავლის, ომების და უმეტესად კი შინაურ მდგომარეობის, ქართველთა ყოფა-ცხოვრების და მოქმედების, ყველა მხარე სავსეა ეკლნარის და გულსახეთქ მწარე ცნობებით, ყველა ცნობა და მხარე სრული ცხადი ნიშან-წყალია ქართველის დიდის ტანჯვის, დიდის, სამაგალითო გმირობის!

აქ ნახავთ ცნობას, თუ ხშირად ქართველი კეთილშობილი როგორ ღალატობს თავის ტომს და მით როგორ ემხრობა თავის დაუძინებელ მტრებს, როგორ ნეტარებს მათთან, ნახავთ, თუ ეს უგრძნობელი ცხოველი თავის თანამემამულეთ სისხლს როგორ სომს, როგორ მუსრავს თავის ბედკრულ მოძმეთ სახლ-კარს, ისეც დაქცეულ ქვეყანას როგორ აქცევ-ანგრევს და მიწაზედ ასწორებს. ასეთს სურათებს აქ თქვენ ნახავთ ყოველ დროს, ყოველ მხარეს და ყოველ დიდებულთა

ოჯახებთ შორის. აქ ხედავთ კარგად, თუ ხშირად ერთი რომელიმე დიდებული თავის პიროვნების გამო, თავის მცირე რამ ნივთიერების სიყვარულისთვის როგორ იკარგება სალის გრძნობა, გონებიდამ, როგორ ღალატობს საერთო ქართველთა მიზანს, თავის თანამემამულეთ ცრემლით ნაპოვნ ერთობას გველურად გაურბის შორს და მით სხვათა ეკედლება, ანუ თავის სამშობლოს დამნაცრებელ ოსმალ-სპარსთა ჯაშუშათ ხდება. ქვეყნის გამცემათ, უძლურთა მტრად, მოღალატეთ, დაბრმავებული აღარას აკვირდება თვინიერ თავის-თავის ბედნიერების, თავის სამარცხვინო გამძლავრების და სივერაგის.

ნახავთ აქ ანუსხვილს, თუ ხშირად არამც თუ საერთო საქმის ღალატშია ქართველი სახელოვანი და ქებული, არამედ თვით თავიანთ ძმებთანაც კი, ნათესავებთან, შინაურს საქმეებშიაც. ნახავთ, რომ სადაც კი კარგი და პატიოსანი ქართველი მამულისშვილი სჩანს, იქ არც ბოროტი და მოღალატე ქვეყნის გამცემი გველიც ილევა, შინაურ და გარეულ მტერთაგან წახალისებულნი და გათამამებულნი, დაბრმავებულნი და გადაგვარებულნი მოქმედებენ მხეცურად ხშირად ძმა ძმას ჰყიდის, მამა—შვილს, შვილი—მამას, ცოლი—ქმარს, ქმარი—ცოლს, ქალიშვილებს, ვაჟიშვილებს, ნათესავი—ნათესავს, და ვინ იცის კიდევ რამდენ სხვათა. ერთი უბრალო რამ მათში სძრავს მხეცურ მიდრეკილებას, დაუსრულებელ შურს, ქვეყნის მტრობას, სიძუნწეს და ბევრს ალაგას საქმე ისე ჩანდება ჩვენდა სავალალოდ, რომ დედინაცვალთა და მამინაცვალთა გამო ხშირად ცოცხალ ქორფა გერებსაც კი მარხავენ საფლავებში. ასეთი ცნობები ჭეშმარიტი მოწამეა მის, რომ ქართველი წარსულში იყო სრული ყმა მუსულმანების და მათის გავლენის ქვეშ გაფუჭებული.

ნახავთ აქ ხშირად, თუ ქვეყნისა, ბედისა და გარემოებისაგან დასჯილ ქართველნი როგორ მისტირიან თავიანთ ბედკრულ სამშობლო ქვეყნის მდგომარეობას, როგორ ეთუთქებათ მათ მწარედ გული მასზედ, როცა თვის თანამემამულეთ ხედვენ, ნამუსიდან ხელ აღებულთ, ქვეყნის მტერს შეჰფარე-

ბიან, მათს სამსახურს მისცემიან, ერთი ლუკმა პურის გულისთვის მათ მონებათ გამხდარან, შეურთავთ თვით მათივე სჯულის ქალები, ოვითაც წვერი და თითები ჰინით შეულებიათ, ნამდვილ გადაგვარებულ თათრებათ გამოსულან. სრულიად თავიანთ მტრის მონებას და სამსახურს მისცემიან, დავიწყებიათ დაბრმავებულთ და გალაღებულთ, რომ კაცის სიცოცხლის და ცხოვრების ღირსებას მარტოდ უზენაესი, სუფთა მამულისშვილობა შეადგენს, მისი სიყვარული და სამსახური. ბედშავნი და გონებით გათახსირებულნი ქართველნი ხშირად ჰფიქრობდნენ, რომ მათი ლუკმა პურის მიმცემი მათი სამშობლოს ნაყოფი კი არ იყო, არამედ სათათრეთიდამ მოტანილი განძეულობა, თათრების საკუთრება, მუსულმანთა წყალობა. მუსულმანებმა იცოდნენ ქართველთ შესყიდვის მანქანებანი და მიტომაც იყო, რომ ქართველებს სასტიკათ ჰრაზმავდნენ თვით ქართველთ წინააღმდეგვე.

ასეთი იყო ბექა ათაბაგი, შად. ბარათაშვილი და მისთანანი, რომლის ბოროტებითაც გაეთხარა სამარე ჩვენს ბედშავს სამშობლოს და 1627 წ. სამცხე-საათაბაგო საქართველოს მოსცილდა, ათაბაგობა მოისპო და მასთან ქართველთ გათათრებაც დაიწყეს.

ნახავთ აქ, თუ ხშირად ერთი წრე ბოროტის ქართველობისა როგორ ღალატობს თავის სამშობლოს საქმეებს, როგორ აბეზღებს თავის ერს მტრის წინაშე, როგორ დარიგებას აძლევს თვის თანა მემამულეთ მოსასპობათ, ესენი როგორ ქ�oობენ მტრის გვერდით, როგორ მასლაათს სწევენ, როგორ ნეტარებენ, ნეტარებისთვის რომ ქონების ძალა აღარ შესწევთ, მაშინ არბევენ თავის გლეხებს, სტაცებენ მათ შვილებს და ვინ იცის სადა გზავნიან დასაყიდათ, ამისთვის აღარ იშურვებენ არაფერს და თვით სამღვდელო პირთაც კი იჭერენ, წვერს ჰკრეჭენ და ცოლშვილიანათ აპატიმრებენ და უკანასკნელ თათრებზედ ჰყიდიან მათ როგორც საქონელს. ამის მაგალითია ლამბერტის აღწერა სამეგრელოს შესახებ. როცა ვკითხულობთ ამ ცნობებს, მიდამ ცხადათ ვრწმუნდებით, რომ

ყოველივე ამის მიზეზი უნდა იყოს გარეშე მტერთა სახელმწიფო და ჩვენი დასალუპი გავლენა.

ხედაეთ აქედამ კარგათ თუ უბედური ქართველი ხშირად რა ფუქსავატი იყო, ნაყოფი უმეცრების, მედიდურების, დაბრმავების, დაუსრულებელი მტრობის ჩამოგდების და მისის საშუალებით ყოველივე ძალოვნების მოშლის, დაქვეითების. ხედავთ, თუ უგვან და ბედშავ მოღალატე ქართველთაგან ხშირად როგორ ეცემოდა საქართველოს სამეფო, როგორ ემხობოდა ქართველი ერი, მაგრამ ამ ბედშავთ და ბედ ბნელთ კი მასზედ გულიც არ მოსდიოდათ, დაბრმავებულნი და გათახსირებულნი დაბრმავებაშივე იჟლიტებოდნენ, ოღონდ ამ დროამდის კი კარგად ყოფილიყვნენ, თორემ სხვაფრივ მათ ქვეყანას, მის მტრებს და მათ მტრობასთან საქმე არ ჰქონდათ.

სულ ასეთ ქართველთა წყალობა გახლდათ, რომ ქართველთ შორის გაფართოვება და გადღესასწაულება იწყო ქართველთ გადაგვარებამ, გათახსირებამ და ყოველნაირმა უდიერებამ საქართველოს მტრებათ, დაუძინებელ სისხლის მსმელებათ ხშირად თვით ქართველნივე აღმოსჩნდებოდნენ. ნახევარი საქართველო თვით ქართველებმა დაღუპეს ყოველის მხრით. ასე უკუღმართობდნენ ქართველნი, წამხდარ და გადაგვარებულს აღარ აგონდებოდა არც სამშობლო ქვეყანა და ერი, არც ქართული ენა და მწიგნობრობა, არც ის გარამოება, რომ მათის მტრობის წყალობით ქართველთ შორის ძირიანფესვიანად ეცემოდა ხელოვნება, საკუთარი მხატვრობა, ხუროთ-მოძღვრება, ჩუქურთმის ჭრა, ქანდაკი, ხატვა, ხაზვა, ხელოსნობა, მეურნეობა და სხვაც ათასი ენით უთვლელნი.

ყოველ ასეთ უბედურების დროს, თქვენ ხედავთ აქა იქ თითო-ოროლა ისეთ ქართველთაც, რომელნიც ასეთს მოვლენას ცხარეს ცრემლებით მისტირიან. ებრძვიან გარემოებას, მუსულმანთა მახვილს, ქართველთ გათათრებას, გადაგვარებას ყოველნაირად, ქართული ენის დაკარგვას, ტაძრების ნგრევა-ქცევას, დიდთაგან მცირათ დაჩაგვრას, ქართველთ შეუძლოთ დარბევას, ყმათა სყიდვას. გამსყიდავნი და მყიდველნი სასტი-

კათ შეაჩვენა აფხაზეთის კათოლიკოზმა მალაქიამ თავის ქადაგებაში მე-XVII საუკუნეში. შეაჩვენეს სხვებმაც. ასეთ დროს, თქვენ ხედავთ დიდ ბუნებოვან ქართველთაც, რომელნიც ქვეყნის გულისთვის სამთელივით იწვიან, თვის სიცოცხლეს სამშობლო ქვეყნის ბედს სწირავენ და არავის არსად ერთ ბეწო საქმესაც კი არ უთმობენ ადვილათ. ესენი ეწინააღმდეგებიან სპარს-ოსმალთა პოლიტიკას, მათს ბოროტ მძლავრებას და მიტ ხშირად ანჯღრევენ კიდეც მათ. მუსრს ავლებენ შინაურ ქართველთა გამსყიდავთა ძალოვნებასაც, არცხვენენ მათ მძლავრად, უმცირებენ პიროვნების მნიშვნელობას ყოველნაირად, გულს და სულს უწამლავენ, სამშობლო ქვეყნის სიბრალულში შეჰყავსთ მათი ბოროტი გული და სული. ბევრს კიდევ სხვა ასეთ საქმეებს აკეთებენ ასეთი პირნი ჩვენს ისტორიაში ბნელი ღამის ვარ სკვლავებათ სჩანან, ესენი ქვეყნის და ერის მალამოები არიან და გზის მაჩვენებელნი, მათის წყალობით მოაღწია ჩვენმა ტომმაც ჩვენს დრომდე.

ეს წიგნი თქვენს წინ შლის ისეთს ცნობებს, ისეთს მასალებს, რაც სხვა ქართულს ისტორიულს წიგნებში სახსენებლათაც არ არის. ეს ძვირფასი ცნობები ქართულის მატიანის და წყაროებისთვის მკვდარია და მიუხვედრი, მიუგნებელი. აქედამ კარგად სჩანს, რომ ლათინის მისიონერებს უფრო კარგად სცოდნიათ ჩვენი ავი და კარგი და გაჭირება, ვინემც თვით ქართველთ. რასაც ჩვენი ძველი ცხოვრების შესახებ ლათინის მისიონერები გვაძლევენ, იმაზედ ქართველ მეისტორიენი ხმასაც არ იღებენ, ის რაც ჩვენთვის საჭიროა და გულ-საწვავი, იგი ქართველ მატიანისთვის მკვდარია და უმნიშვნელო. თუმცა მკითხველი პატრი მ. თამარაშვილის შრომის კითხვის დროს დიდს სასოწარკვეთილებას ეძლევა და გული და სული შავის ძაძით ემოსვის, მაგრამ. იმავ დროს, მას აქა-იქ ამ სევდის გულ გადასაყრელი ცნობებიც ევლინება მანანასავებ, რადგანაც იგი ქართველთ შორისაც ჰპოვებს თითო-ოროლა მხნე პირთა, გულ-გაუტეხავ მამულისშვილთა თვის უკანასკნელის სისხლის წვეთამდე. ასეთის მრავალნაირის სა-

მწუხაროს თუ საიმედოს ცნობებით ავსებს. მ. თამარაშვილის შრომა ქართველ მკითხველს.

ასეთი მასალების მოვლენა, ასეთ მასალათა კრებული დღეის შემდეგ ქართველთათვისაც მოითხოვს ევროპიელთ მსგავსად განათლებულთ და შემძლე მეისტორიეთ რიცხვს და კალამს. უამისობა კი ამაო იქნება. ვიტყვით იმასაც, რომ მარტოდ ნათელის ისტორიის ძიებით ჩვენ წინ ვერ წავალთ, თუ ყველა საგანში მტკიცე ხასიათით და მამულისშვილობით გარკვევას არ დავიწყებთ. ერის მდიდარ ისტორიული მასალების გადახალისებას მდიდარი მეისტორიეთა გონებაც მოუნდება, მამულისშვილობით აღვსილი სულიერება. ჩვენი ისტორიის მასალების სიმდიდრის სიმტკიცისათვის მ. თამარაშვილი დღესაც მტკიცედ იღწვის. 1904 წ. 10 ივნისის „ივერია“-მ ცნობა მოგვიტანა, რომ მ. თამარაშვილს, იტალიის ერთს სამკითხველოში უპოვნია ერთი ძვირფასი ისტორიული წიგნი, სახელდობრ საქართველოს აღწერა ლათინურს ენაზედ სურათებით დაბეჭდილი 1631—1654 წ. რომს, აღწერილი მისიონერის ქრისტეფორე კასტელისაგან, რომელიც იმ დროსვე ყოფილა საქართველოში, საქართველო აუწერია მრავალ ნაირად და მერე სურათებითაც დაუსტამბავს. ეს ძვირფასი წიგნი დიდის შრომით მოუპოვნია მ. თამარაშვილს. ქართველი საზოგადოების ყურადღება არის საჭირო და პატივისცემა, თორემ მაშინ იტალიაში, საქართველოს შესახებ არა ერთი და ორი მასალა აღმოსჩნდება. ამის მოწამეა მ. თამარაშვილის დაუფასებელი შრომა. ცდა და შრომა გვჭირია, ამისთვის წამხალისებელნი, გულშემატკივარნი და ჩვენი ტომის საქმეებთა მფარველნი.

საჭირო კია ასეთ პირთა ყურადღება და პატივი, რადგანაც, მ. თამარაშვილის ცდით და შრომით ჩვენს ისტორიას ბევრი ძვირფასი მასალები მოეპოვება, ბევრი მივიწყებული ცნობა აღმოგვიჩნდება, ბევრი საყურადღებო მასალები გაირკვევა ჩვენის ისტორიის და ეთნოგრაფიისათვის. ასეთის შემთხვევით და პირებით უნდა ვისარგებლოთ, თორემ ვინ იცის,

შემდეგაც აღმოსჩნდებიან თუ არა ასეთი თავდადებული მშრომელნი და საქართველოს საისტორიო მასალათა მკრებავნი. ყველაფერი ბედი გახლავსთ და გარემოება, ნამეტურ ჩვენ, ქართველები, რომელნიც განვითარებულ ისტორიულ თხუზულებათა წერით წყალში ჩავარდნილ ნაფოტს ვგევართ. ჩვენ დღეს ისეთს პირობებში ვართ მოთავსებული, რაის საშუალებითაც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს შრომა, და მასალების ძებნა საყოველთაოდ ყველა კუთხეში და ყოველთვის. ჩვენ რომ ასეთს შრომას გავყვეთ, მაშინ ჩვენი მწერლობის ასპარეზზედ ბევრი შესანიშნი შრომა აღმოსჩნდება, ბევრი ვრცელი ტომი დაისტამბება. მომავალ ქართველ მეისტორიეს ნათლად შეეძლება გაარკვიოს და დახატოს ის გარემოება, თუ ქართველი ტომი ვისის წყალობით იღუპებოდა, რათ ისპობოდა, ვინ იყო ამის მიზეზი, მთელი ტომი რისაგან თახსირდებოდა.

ამის მაგალითია მ. თამარაშვილის შრომა და ამასვე გვაუწყებს, რომ ქართველებმაც თვალი გავახილოთ, შრომა დავიწყოთ ენერგიულად, მამა-პაპათა უმეცრებას მოვსცილდეთ, რაც მათთვის ავი იყო და საღალატო, სავნო ქვეყნის და ერისა, ის შორს განვაგდოთ და მის მაგიერ შევითვისოთ და შევიძინოთ ის სავალდებულო თვისება და ვითარებანი, რითაც ჩვენი ბრძენი მამულისშვილები საქართველოს ინახავდნენ და აუარებელის მტრების წინაშეც გმირობით იფარავდნენ. ამის მოვალეა დღეინდელი ქართველი თავობა და ამასვე გვამცნევს მ. თამარაშვილის შრომაც, რომ რამდენათაც საქართველოს ისტორიაში უძლური და უღირსი ცნობები მოიპოვება, იმდენადვე არის ისეთი სულის გასამაგრებელი ცნობები და მასალებიც, რაც ჩვენს წარსულ და მამა-პაპათა ღირსებას საკმარისად ამაღლებს, რაც საყურადღებო უნდა იყოს თანამედროვე თავობისაგან და შესასწავლი, ამ შესწავლის ასპარეზი ჩვენში უკვე განმტკიცებულია, მასზედ ერთი და ორი კი არა და რამდენიმე საყურადღებო შრომაც მოიპოვება. აქ მხოლოდ საჭიროა, რომ ქართველი გახდეს მტრფობელი თავის სამშობ-

ლო ქვეყნის წარსულის და აწმყო დროის ისტორიისა. ამის ყურადღება და შესწავლა ჩვენს ზნეობრივად მეცნიერულს ვალსაც შეადგენს.

თვით მ. თამარაშვილის შრომა ვრცელი ტომია. 850 გვ. მასალები იწყება XIII საუკუნის დასაწყისიდამ, ანუ რუსუდან დედოფლის დროიდამ, როცა რომის პაპმა და საქართველოს დედოფალმა წერილების მიწერ-მოწერა დაიწყეს ერთმანერთში. წერილები რასაკვირველია ნათარგმნია ძველის დედნებიდამ, ლათინურის, იტალიურის და ფრანგულის ენებიდამ. წერილების რიცხვი მოსდევს ზემო ხსენებული დროდამ და თითქმის უახლოეს დრომდე აღწევს, თუმცა ამ წერილებთ შორის უმეტესი ისეთი ცნობებია, რომელთაც ქართველ-კათოლიკობის არსებობის ნიშნები აქვსთ, რაც თვით პატრს თამარაშვილსაც სურვებია, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ასეთ მასალათა გარეშე აქ სხვებიც ბევრი რამ მოიპოვება, მისი მოთვლა აქ შეუძლებელია, ხოლო ვერც ერთი ქართველი ვერ შეისწავლის საქართველოს ისტორიას ისე, თუ ის ამ ვრცელ შრომას არ წაიკითხავს, ისტორიის მეძიებელი აქ ყველა დარგის ცნობებს ჰპოვებს.

წერილები თავიანთის სიძველით საყურადღებონი არიან, რადგანაც დღემდე, ვატიკანის წიგნთ-საცავში, სადაც რამდენიმე ოთახია, ერთ ალაგას არის განყოფილება, სადაც მოიპოვება ყველა ის წერილები და ცნობები, რაც კი ქართველთ პაპებისთვის უწერიათო. იქვე ინახება თურმე თვით პაპებისაგან მოწერილი წერილების დედნები, ყველა იგინი მკვიდრად და სუფთად არიან შენახული. პატრი თამარაშვილის ჰაზრით ასეთის წერილების ბევრი კი უნდა იყოს დაკარგულიო, ამას იგი ცნობებითაც ასაბუთებს, ბევრის წერილის დაკარგვას დიდი მნიშვნელობა უნდა ექმნეს ჩვენის ისტორიისათვის, მნიშვნელოვანი ღირსება ცხადათ სჩანს იმ წერილიდამ, რაც აქ არის მოთავსებული, ამოდოლა წერილებში თქვენ ვერ ჰპოვებთ ვერც ერთ წერილს, რომ მას რამე უდიდესი მნიშვნელობა არ

ექმნეს. ყოველი წერილი ღრმა მოწამეა ჩვენის ძველის დროების, ქართველთ ძლიერებისაც და იმისიც, თუ ეს ძლიერი სამეფო როგორ მიეცა უწყალოდ დაცემას.

მაშინ რა გახდა ამ დაცემის უმთავრეს მიზეზათ, რომ ეს აყვავებული სამეფო, ძლიერის მეფით და სამეფოს ტახტით, მძლავრის სამხედროს მოწყობით, რიცხვ-მრავალ გმირულის თავად-აზნაურობით, გამძლავრებულის სამღვდელოებით და სხვაფრივათაც დაწინაურებული წესებით მიეცა ისე უწყალოდ დაშლას, დანაწილებას, ერთ სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ქცევას და ბოლოს სულაც მოსპობას. ყოველივე ამის საპასუხო დასკვნას მკითხველი ამავ წიგნიდამ გამოიტანს და ყოველივე ეს გამონატანი პასუხი არის შემდეგი:

სამეფოს ძლიერ პირთ, თავად-აზნაურებს, სამღვდელოებას და სამხედრო ძალას უნდებოდა დიდი ხარჯი, დიდი გასავალი, სამეფოს შესავალი გასავალს ვერა ჰფარავდა, ამიტომ სახელმწიფოს ყოველივე ზარალის პასუხის გება გლეხ-კაცობას და ხელოსან ხალხს აწვებოდა კისერზედ, მაშინ სახელმწიფო ხარჯს მარტოდ ესენი იხდიდენ სხვა არავინ, არც თავად-აზნაურნი, არც სამღვდელონი. ამიტომ სახელმწიფოს დიდის ხარჯისაგან გლეხ-კაცობა წელში სწყდებოდა, იგინი ცხოვრებათ მიწაზედ სწორდებოდნენ, სახლ-კარით ისპობოდენ, რიცხვითაც მცირდებოდენ, მებატონეთაგან მათი სახიერი ქალ-ვაჟნიც ჩარდახიანის ურმებით სპარსეთისკენ ისყიდებოდენ, ოსმალში გემებით რეკავდენ ასეთ დასაყიდს ნივთებს. ერთის სიტყვით სახელმწიფო წესების უძლურების წყალობით თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ გამოხრა გლეხი და ხელოსანი ხალხი, ესენი ამით დაცემას ეძლეოდენ და ბოლოს რასაკვირველია ისეც მოხდებოდა, დაცემული ერის სახელმწიფო წესებიც დაეცა და მოისპო. ეს მოხდა კანონიერად, ბუნებრივად და რომ ასე უნდა მომხდარიყოს, ამას გვასწავლის თვით ჩვენი დროის მსწავლული, საფრანგეთის ცნობილი სოციალოგი ლეტურნოც.

ჩვენის სამეფოს სნეულობის დასაწყისის გასაცნობათ ამ წიგნში მეტად ბევრი ცნობებია მოთავსებული.

ქართველ ყმათა ცხოვრება, მათი უმეცრება, ცხოვრების პირობებისაგან შეწუხებული მონება, ყველას წინ თავის მოკატუნება და სხვაც ბევრი ასეთნი, რაც ქართველ გლეხს აძულებდა ქართველობას, ქართულ ენას და ამ მონების წყალობით მას ძაგდა თვით საქართველოც, ქართველობაც, მიტომ უკავშირდებოდნენ ესენი ისლამს.

ქართველ ყმათა სოფლებს ყიდულობენ ოსმალნი, სპარსნი, ებრაელნი, კათოლიკენი და სომეხნი, ქართლსა და კახეთში სომხის სამღვდელოებას ეს ნაყიდი გლეხები გადაჰყავსთ თავიანთ საყდრის რჯულზედ, რომელთა რიცხვითაც დღეს სავსეა ქართლ-კახეთის სოფლები და ყველა მათაც თავიანთ თავი სომხის ნაციის შთამომავლად მიაჩნიად.

სჩანს კარგად ისიც თუ კერძო საქმეთაგან აღშფოთებულ ქართველთ შორის, რა ადვილად ინერგებოდა საზოგადო საქმეთა მტრობა, რაისა გამო ქართველ დიდებულთ შორის ადვილად სჩნდებოდენ შინათ გამცემნი, მოღალატენი, რომელნიც თავიანთ მშობელ ქვეყანას მძლავრად მტრობდენ და მოურიდებლივე თვით ქვეყნის ჯაშუშებათაც ხდებოდნენ.

საინტერესოა ამ წიგნში ბევრი რამ და ნამეტურ შემდეგნი:

ნიკიფორე ირბახის ცხოვრება, რომელსაც შარდენიც მოიხსენებს, ეს ნიკიფორე ირბახი ქართველ დიდი გვარის კაცთაგანი ყოფილა, ქართველ მეფის ელჩად ყოფილა, სცოდნია ყველა ევროპიული და აზიური ენები, რამდენჯერმე ყოფილა საფრანგეთს, იტალიას, ისპანიას, ინგლისს, გერმანიას, ავსტრიას და სხვაგან. XVII საუკ. პაპის წინაშე კათოლიკობაც მიუღია.

რომში ქართული სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვა.

ქართველთა როდის იწყეს ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისთეის წასვლა.

საქართველოში მყოფთ ლათინის მისიონერ მკურნალთა მიერ მკურნალობა.

რომში, კონგრეგაციისაგან, ქართული ენის კათედრის განწესება და მისთვის ქართული ენის მცოდნე პროფესორების დანიშვნა. ბევრი კიდევ სხვა ცნობებია მოყვანილი, რაზედაც ჩვენ აქ საზოგადოს მიმოხილვით ვისაუბრეთ.

მთელის წიგნიდამ კარგად სჩანს, რომ საქართველოს მეფეებს და მღვდელ-მთავრებს დიდი პატივი და სიყვარული ჰქონიათ რომის ტახტის, ასევე პატივით უმზერიან ქართველებს თავ-თავის დროს რომის პაპებიც. ხოლო ამათ კავშირს და სალამს და სალმობას უშლიდა ერთმანეთის სიშორე.

ქართულ თარგმანთა გარეშე წიგნის ბოლოში მოთავსებულია ტექსტები ლათინურის, იტალიურის და ფრანგულის ენით, თავისებურის ძველებურის, ანუ თავ-თავის დროის წერილის სიტყვებით, რათა ქართველს მკითხველს ეჭვი არ დაებადოს, არ სთქვას, რომ ქართული თარგმანი მოჭორებულიაო. ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება ჩვენს დროშიო. და მიტომაც პატრს მ. თამარაშვილს ძრიელ კარგი უქმნია, რომ ეს ტექსტებიც მოუთავსებია ბოლოში, თუმცა ჩვენში ადვილი არ არის ლათინურის, იტალიურის და ფრანგულის ამოწყობა, მაგრამ საქმის ჭეშმარიტების ძიებას დაუძლევია სიძნელე.

მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ის წუთები, როცა თქვენ ულცხო ენებზედ ძველად დაწერილ საქართველოს აბზებს კითხულობთ. ეს ლათინურ-იტალიურ-ფრანგულ ტექსტების გამოწერა და დასაბეჭდათ განმზადება მეტად დიდი შრომა გახლავსთ და მიუბაძავი.

წიგნის სათაური ასე იწყება: — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთ შორის. ნამდვილ საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. მღვდელი მიხეილ თამარაშვილისა. თფილისი, 1902 წ.“ ფასი ორი მანათი, ძრიელ იაფია, ამ სივრცის წიგნი, რაც გინდ შინაარსის იყოს, რუსულს ენაზედ 4—5 მ. ნაკლებ არ დანიშვნენ ფასს, ქართულად კი ეს ძრიელ იაფია. ზემოთ მოყვანილი ქართული წარწერა წიგნს სათაურზედ ფრანგულათაც აქვს მოყვანილი. ზომა წიგნისა ფართოა, საწერ ქაღალდის ნახევარ თაბახის ზომაზეა დაბეჭდ-

ლი, ცოტად მცირედ, ამის ზომას ლათინურად არ ვასახელებთ.

წიგნის დასაწყისში მოთავსებულია სურათი მიხეილ თამარაშვილისა, მთელის ტანით არის ნახატი, ტანზედ რასაკვირველია კათოლიკეთა ბერული ანაფორა აცვია და მაზარა ხურავს, სახე სურათის ამტკიცებს სიცხოვლეს და სიმკვირცხლეს, ემჩნევა, რომ შრომაში ამ სახის მექონი ბერი დიდი მომთმენი და სამშობლო ქვეყნის ბედკრული ისტორიის დიდი მოყვარე უნდა იქმნეს.

ქართველ ერის დაქვეითებას კაცი აიტანს, ეს დროებითია, ერი განათლების გზაზედ გამოვა, ეკონომიურს და სოციალურად განვითარდება, შაშინ იგი ცხოვრებითაც დაწინაურდება. ამას ეჭვი არ უნდა, აქ მარტოდ დაძინებული ერის გაღვიძება არის საჭირო და მათი თვალის გახილება, რომ მით იცნონ თვისი მდგომარეობა. თორემ მისი შიში ჩვენ არ უნდა გვექნეს, რომ დღეს ქართლ-კახეთის ქალაქები სომხის ვაჭრების ქვეშ იმყოფება, თფილისიც მთლად სოლოლაკის სომხობას უკავია, ქალაქის გამგეობაშიც მთლად სომხები არიან მოსამსახურედ, ქართველების მარტო სტოროჟები და ასეთ მოსამსახურენი არიან. ამაზედ ქართველებს გული ნუ დასწყდებათ, ქართველთ გლეხობა გაიღვიძებს, იგინი გამოვლენ შრომის, განათლების და თვით ცნებიერების ასპარეზზედ და მაშინ-კი საქმე სხვა ფერ წავა.

მიხეილ თამარაშვილი ასე ფიქრობდა, ხოლო დარდობდა მას ზედ, რომ ქართველი ერი თავის მიწა-მამულს ნუ ჰკარგავს, ნუ ჰყიდის, თორემ ბოლოს ჩვენც ურიების და სომხებივით უტერიტორიო გავხდებითო. ეს არის საწუხარიო. სწუხდა კიდევ მასზედ რომ მანდ, საქართველოში მიწა-მამულს ჰკარგავთ და ევროპაში კიდევ სომეხთ მსწავლულნი საქართველოს ერთი კალმის მოსმის ძალით ართმევენ და მის ისტორიას და საკუთრებას სულ სხვა ნაირად ასხვაფერებენო. მაგალითებრ საქართველოს ხატავენ და ხაზვენ არმენიის ნაწილშიო, ასევე ასხვაფერებენ ქართულ ქალაქებთ სახელებსა—ასე რომ ამათის ისტორიულის ცნობებით საქართველო

თავის ადგილ მდებარეობით მთლად იკარგებაო. მათის ფიქრით, საქართველო მხოლოდ დარიალის ხეობაში არისო და ამიტომ აიკიდეთ გუდა-ნაბადი და თფილისიდამ დარიალში გადასახლდითო. ასეთ მწერალთ და მეისტორიეთ ცნობებით მთელი ევროპის ერნი ასე არიან ჩვენზედ დარწმუნებულნი. ქართველთ ხსენება აქ ბევრმა არც-კი იცისო.

ასეთ მეისტორიეთ საპასუხოთ მან დასწერა კარგი ისტორიული წიგნი, სახელდობრ „საპასუხოდ იმ სომხის მეისტორიე მწერალთა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს ადგილები სომხეთი არისო". ეს კარგი შრომა ქართულს ენაზედ ცალკე წიგნად გამოვიდა თფილისში, რომელსაც სათაურად აწერია: „პასუხი სომხის მწერლებს და მეისტორიებს დაბ. 1907 წ. თფ."

ამ წიგნის შესახებ მე არას ვიტყვი, რადგანაც იგი ცალკე დაბეჭდილი არსებობს, მეორე, თვით წიგნის სათაურიც გამცნევთ თუ რაც უნდა იყოს. იმას-კი ვიტყვი, რომ ამ წიგნის შემდეგ, ავტორს სურვილი აქვნდა, რომ ასევე საპასუხოდ დაეწერა წერილი წიგნად ფრანგულს და იტალიურს ენებზედ და იგინი ცალკ-ცალკევე გამოეცა ამ ენებზედ. ამას გარდა მას სურვილი ჰქონდა და ამაზედ მიწერ-მოწერაც გვქონდა ერთმანეთში, რომ ესევე წიგნი სომხურს ენაზედაც უნდა დაებეჭდა, ამას გარდა სურვილი იყო მასზედაც, რომ შავშეთის ქართველ კათოლიკეთ გადაგვარების ისტორიაც დაწერილიყო და სომხურად დაგვებეჭდა, ამის დაბეჭვდის საქმეს მე მთხოვდა. უსათუოდ უნდა გამოსცე ამ ქართველობიდამ გარედ გასულ კათოლიკეთ ისტორიაო.

მკითხველს მოკლედ ვეტყვი ამ კათოლიკეთ ცნობებს, რომლებზედაც მე მას ბევრჯერ მივსწერე ცნობები. იგი ერთხელ შემეკითხა შავშეთის ქართველ კათოლიკეთ შესახებ და როცა მივწერე, რომ შავშეთის ქართველ კათოლიკეთ ქართული აღარ იციან, დაკარგეს, მის მაგიერ სომხურად ლაპარაკობენ; ეს მას დიდათ ეწყინა. ასევე დიდათ ეწყინა ვინმე მესხს გვარამაძეს, ახალციხის კათოლიკეთ მოძღვარს, როცა

უამბე რომ შავშეთის ქართველ კათოლიკებმა ქართული აღარ იციან და სომხურად ლაპარაკობენ.

ახლა მკითხველს მოკლედ გაგაცნობთ ამ კათოლიკეთ ცნობებსაც. შავშეთში ართვინს სცხოვრობს 5000 ათასი ქართველ-კათოლიკენი, ასევე სოფ. კორძულს, არდანუჯს, სოველს სათლეს, ოქრო ბაგეთს, სოფ. ფხიკიურს, მამა ნელის და კარპეტს. კარაპეტი არ გეგონოთ ეს. ყველა ამ სოფლებში მცხოვრებ კათოლიკენი ტომით ქართველნი არიან, იგინი კათოლიკობას დაუკავშირდნენ XVII საუკ. იგინი მაშინ შერაცხულ იქმნენ სომეხთ კათოლიკებათ, მათს ეკკლესიებში სომხურ ენას ხმარობდენ და ამიტომ მათ დროის განმავლობის წყალობით ქართული ენა დაკარგეს. თუმცა სახეზედ მათ კარგად ეტყობათ ქართულის სახის ნიშნები. სოფ. კორძულის სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის მნათემ პირადათ მითხრა, რომ ჩვენ ქართველ-კათოლიკენი ვართ; ხოლო ქართული ენა-კი დავკარგეთ და აღარ ვიცითო. აი, ამათვის არის საჭირო, რომ მათი გადაგვარების ისტორია სომხურს ენაზედ წავაკითხოთო. ესენი გაასომხეს სომეხთ კათოლიკეთ ხუცებმა. ასეთია ისტორია, რაზედაც დიდათ სწუხდა მიხ. თამარაშვილი.

მიხ. თამარაშვილის უმთავრეს შრომას შეადგენს ახლად დაბეჭდილი წიგნი ფრანგულს ენაზედ, სახელდობრ „საქართველოს ერი და მისი ეკკლესია“ დაარსებიდამ ჩვენ დროამდის ფრანგულს ენაზედ, რომელიც ცალკე წიგნათ გამოიცა რომს 1911 წ. ვრცელი ტომი, 800 გვერდზედ მეტი, რომელსაც 105 სურათი აქვს საქართველოს ნაშთების, გამოჩენილ მწერლების, მეფეების და წმინდანების. მოთავსებულია აგრეთვე ქართველ მეფეების გერბი, ქართული ფულები, ქართველ-კათოლიკოზების მიტრები და ბევრიც სხვა ასეთნი; მასთანვე დართული აქვს ორი რუქა, ერთი ძველის საქართველოსი თავის საზღვრებით და მეორე ახალის საქართველოსი, თავის ახალის დროის, ხოლო ძველის დაკარგულის საზღვრებით ნაჩვენები. წიგნი დასტამბულია ძვირფასად, შესანიშვნის სურათებით,

სუფთად, ლამაზად, ეს, კაი გამოცემა არც ერთს ევროპიულად გამოცემულს წიგნს არ ჩამოურჩება. იგი არის ნამდვილი ნიშან-წყალი დიდი ენერგიულის შრომის მოყვარე მწერალ კაცის. ვინც-კი ნახავს ამ წიგნს, იგი მისის ნახვით და გადაფურცვლით დიდათ ისიამოვნებს. იგი არის მეტად ძვირფასი საუნჯე, დიდი განძი არა მარტო გარეგან შეხედულებით, არამედ თვით შინაგან ღირსებითაც და მასთან წიგნის მოქალაქურის მიმართულებისაგანაც.

მას აქვს სათაური „საქართველოს ეკლესია", მაგრამ იგი მარტოდ ეკლესიურს ისტორიას-კი არ წირმოადგენს, არამედ მრავალ-ნაირის ისტორიულის ცნობებით სრულს სახეს ქართველის ერის ძველის თუ აწინდელის ცხოვრების. იგი რამდენადაც ეკლესიურ ნაწილს შეეხება, იმდენადვე პოლიტიკურს, ისევეც სხვაც ბევრი რამ საყურადღებო კითხვებს, რაც ქართველ ერის ცხოვრებაში არ არის უმნიშვნელო. ცნობათ შორის არის ისეთი კითხვებიც დაყენებული, რაც ქართველ ერის ცხოვრებაში საჭირ-ბოროტო კითხვებ თ იგულისხმებიან. ამ წიგნის გამოცემით მიხ. თამარაშვილმა ევროპაში ქართველებს დიდი ძეგლი დაუდგა. ევროპაში დღემდე, ქართველი ერის შესახებ ასეთი არა დაწერილა-რა, არცარა ასე ანტიკად დაბეჭდილარა. ეს რომ ასე არის ამას ასაბუთებს ამ წიგნის ის ღირსება შინაარსისა, რომ მკითხველი საქართველოს საეკლესიო ისტორიასთან ერთად გაიცნავს ვინ იცის რას არა და უმთავრესად-კი შემდეგს:

ქართველი ერი თავის ქვეყნით, სამეფოთი, მეფეებით, რჯულით, ეკლესიების შენობით, მწერლობით, მხატვრობით, ხელოვნებით, ხელოსნებით, მოქალაქობით, აყვავება-ამაღლებით, სწავლა-განათლებით, მწიგნობრობით და სახელოვნის კაცთ ცხოვრების ცნობებით, შემდეგი დრო, ქართველთ უძლურება, მისი დანაწილება, ბოლოს სულ დაცემა, ქართველთ ისლამთ. დაკავშირება გრიგორიანობასთან და კათოლიკებთან, მერე რუსეთის იმპერიასთან შეერთება, ამის პირობა, საქართველოს ეკლესიის უფლების გაუქმება. აწინდელი დრო, რუსეთის

ხელში ყოფნა და სხვა ცნობები ქართველთ ცხოვრების, გადაგვარების, მოსპობის და სხვა ასეთ მხარეთა შესახებ. ყოველივე გულ-მართლობით, სინდისიერათ და მიუდგომლად. ამ წიგნის შესახებ აუარებელი წერილები დაიბეჭდა ფრანგულს გაზეთებში, იტალიურს, ინგლისურს, გერმანულს და ასევე სხვა ენებზედაც. თფილისში, მე მქონდა ლაპარაკი ერთ ფრანცუზთან ამ წიგნის შესახებ, III კლასიკურ გემნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელთან, რომელსაც წაეკითხა ეს წიგნი. მან მითხრა: ეს ისტორია მშვენივრად არის ნაწერი, მასთან კარგის ფრანგულის ენითო. საქართველოს ეკკლესიის გარეშე აქ ბევრი სხვა ცნობები არის მოთავსებულიო. სთქვა: — „მე მიკვირს, რომ ქართველმა და ისიც კათოლიკის ბერმა ასეთი კარგის ფრანგულის ენით და მასთან მოქალაქურის მიმართვის ისტორია დასწერაო. ეს სამაგალითო ისტორია არისო. ამ ისტორიას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს ევროპის სხვა და ს

სარგებლოდ. ამასვე სცოდნია კარგად მათებური ენა და ქადაგება, ამას დაშთენია ორი ტომი ქადაგების, რომელიც დღეს თურმე დაბეჭდილი აქვსთ და მათს ნწერლობაში ეს ქადაგებანი შეადგენს კარგ განძს თურმე. აი ამ ანთიმოს-მონაზონს შეუსწავლია მათებურ სასტამბო საქმეთა ხელოსნობა და ბოლოს ამასვე გამოუგზავნია ვახტანგ მეფისათვის ბუხარესტოდამ მესტამბენი და სტამბის იარაღნი, რითაც დაუარსებიათ თფილისში 1708 წ. ქართული სტამბა.

მეორე საყურადღებო ცნობა კიდევ მიხ. თამარაშვილისა, რომელიც საყურადღებოა ჩვენთვის და რასაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება: რომში არსებობს თურმე ერთი ისტორიული არქივი, რომელსაც ას წელიწადში თურმე ერთხელ ხსნიან, იმასაც დროებით, 1911 წელს გაუხსნიათ ეს არქივი. აქ ყოფილა მიხ. თამარაშვილი და დაუთვალიერებია ეს არქივი, აქ მას უნახავს დიდი-ძალი ისტორიული მასალები საქართველოს ერის და წარსულის შესახებ. ამ იშვიათი ისტორიული მასალების და არქივის გამო იწერებოდა შემდეგს:

„არქივში მოიპოვება დიდი ძალი მასალები საქართველოს ერის ისტორიის შესახებ. ამ მასალების გადმოსაწერად მე დავიჭირე ორი კაცი ფასით, დავსვი იგინი არქივში და მთელ დღეს ვაწერინებ ამ მასალების პირებს, ვჩქარობ, რომ ვიდრე არქივი დაიკეტება, მინამდის მათი გადაწერა მოვასწრო და სხვა ცნობებიც ამ არქივის შესახებ.

რა იქმნა ამ არქივის მასალების საქმე, როგორ გათავდა და რა გადიწერა, ამაზედ ჩვენ არაფერი ვიცით. არ ვიცით არამც თუ მარტოდ ამ მასალების გარემოების საქმე, არ ვიცით რამდენი კიდევ სხვა ისტორიული მასალების ბინა და მათ არსებობის ვითარებანი, რასაც მიხ. თამარაშვილი კარგად იცნობდა, ამ ცოდნისთვის დიდი შნო და ენერგია არის საჭირო, რომ მათ კაცმა მ. თამარაშვილისებურ მიაღწიოს და გაიგოს და გაიცნას ყოველივე კარგად თუ სად რა ინახება.

ჩემს გულს დიდათ დააკლდა შემდეგ გარემოებათა პირობები: მიხ. თამარაშვილთან მე მაქვნდა მიწერ-მოწერა დი-

დი მოურავი საკაძის სურათის ღა ცხოვრების შესახებ. მიხ. თამარაშვილმა მოურავის სურათი გამომიგზავნა, მოკლედ ისიც მაცნობა, რომ ეს პირი XVII საუკუნის მისიონერთა ცნობებით უფრო მოღალატეა, თავის დიდების მოყვარე და სხვა ასეთნი, ვიდრეც საქართველოს ერთგულიო. შაჰაბაზიც ამან მოიყვანა და მთელი კახეთიც ამის რჩევით და გეგმით აჰყარა ყეინმაო.

ამაზედ მიხ. თამარაშვილი ცნობების მოცემას დამპირდა, მაგრამ ბედმა აღარ აცალა და ყოველივე დაშთა ჩვენთვის დაკარგული.

მიხ. თამარაშვილი და მისი შრომა ჩვენ ბევრს ასეთ საჭირო საქმეში დაგვაკლდება, იგი ბევრჯერ გაგვახსენდება, ბევრჯერ მოვიგონებთ მის ღირსებას და შრომას. საკვირველია ეს გარემოება ჩვენთვის, საკვირველია და თან სატირელი, რომ ამ ძვირფას კაცის დღენი ასე გათავდა. ასეა ჩვენი საქმე, თვით ამის ძმა სოლომონმაც ასე სთქვა, რომ „ქართველები დაწყევლილები ვართო, ვბა ერთი ბრძანეთ თქვენ ის გარემოება, თუ მიხ. თამარაშვილს რა ეზღვაურებოდა და ან ვინ მოიფიქრებდა ამასაო“.

ნამეტურ გულ-საკლავია ეს გარემოება მით უფრო, რადგანაც მიხ. თამარაშვილს, მომავალში, საქართველოში, ქართველ-კათოლიკეთ ცხოვრებაში დიდი მომავალი მოელოდა, როგორც ვიცით, რომის ტახტისაგან მას ქართველ-კათოლიკეთ ეპისკოპოსობა არ ასცდებოდა. ასეთი მომავლის კაცი-კი ასე დაგვეღუპა და ჩვენც დაგვაკლდა დიდათ. სიკვდილის წამთა ვითარება ცხადი თანმდებია მიხ. თამარაშვილის მაღალის იდეების, რაც რასაკვირველია გარე-მოცული იქნებოდა დიდის კაცობრივის ვალის გადახდის მისწრაფებით და კაცთა შორის ღრმა ადამიანურის სიყვარულით, რის გამო მიხ. თამარაშვილმა, ერთის დურგალ ხელოსან მღშის ზღვაში დაღუპვის დროს თავიც გაიმეტა და მუშის გადარჩენისა და შველაში თავიც დაიღუპა. ესეც ერთი დიდი ღირსება არის მიხ. თამარაშვილის ადამიანობისა; აფსუს რომ იგი ასე უდროოთ დაგვეღუპა, უფრო-კი საქართველოს ისტორიის ღირსებასა და

მნიშვნელობას დააკლდა თავის გამაბრწყინებელი უაღრესი სამკაული.

მიხ თამარაშვილის დაღუპვა ასე მომადარა:

1191 წ. იტალიაში დიდი სიცხეები იყო, ამიტომ მიხ. თამარაშვილი საზაფხულოდ ერთს სოფელში წასულა, რომელ სოფელიც ზღვის ნაპირას ყოფილა მდებარე, აქვე ყოფილან საზაფხულოდ მოსული ერთი საშუალო სკოლის მოწაფენი თავიანთ პროფესორებით. ერთ დღეს თურმე ზღვის ღელვა ყოფილა; ამ დროს, მიხ. თამარაშვილი და ერთი მისი ამ ხანაგი პროფესორი ერთად მიდენილან, ამათ დაუნახავთ, რომ ზღვის ღელვისაგან ერთი დურგალი მუშა იხრჩობა, რომელიც შველას ითხოვდა.

ამათ ველარ მოუთმენიათ, ჯერეთ პროფესორი შეცურებულა ზღვაში, მერე ამას მიხ. თამარაშვილი მიჰყოლია და სდომნიათ დახმარების აღმოჩენა. მაგრამ ზღვის ღელვისაგან ესენი დაღუპულან, პროფესორის გვამი ველარ უპოვნიათ, ხოლო მიხ თამარაშვილის გვამი-კი მკვდარი გამოუტინიათ მუშას-კი მოუხერხებია გადარჩენა. ესეთი ამბავი მთელს იტალიას ელვასაებ მოსდებია და რამდენიმე ხნის შემდეგ მიხ. თამარაშვილი დიდის მწუხარებით დაუსაფლავებიათ. ამ უბედურებას ამბავი საქართველოში ჩვენ მხოლოდ 15 დღის შემდეგ შევიტყეთ. მიხ. თამარაშვილი ზღვაში დაღუპულა 8 აგვისტოს ჩვენ-კი იგი შევიტყეთ აგვისტოს გასულს.

მთელმა საქართველომ ეს სამწუხარო ამბავი და თითქმის არც დასაჯერებელი დიდის მწუხარებით მოისმინა, მთელი ქართველობა ამისაგან მწარედ დანაღვლიანდა, გაზეთებში ბევრი რამ წერილები დაიწერა და ბოლოს თათბირი იქმნა და დადგენილ ისიც, რომ ჩვენის მოჭირნახულე მამულისშვილის მიხ. თამარაშვილის გვამი გადმოტანილ იქმნეს და დასაფლავებული თავის სამშობლო საქართველოში. ამ გარემოებას ომიანობამ შეუშალა ხელი, როგორც ეს მორჩება თუ არა და მიხ. თამარაშვილის გვამს მაშინათვე მოა ვენებენ საქართველოში.

ასე გათავდა ამ იშვიათი მამულისშვილის დღენი, ასე ულვთოდ დაკარგეთ იგი.

პატრი ალფონს ხითარაშვილი

მონოგრაფიანს (ფრანგია)

საქართველოს მიწა-მამულზედ, ქართველი ერის გვარი შესდგება ხუთი რჯულის ხალხისაგან. პირველი არის მართლ-მადიდებელი, მეორე ქართველ-კათოლიკენი, მესამე ქართველ-გრიგორიანები (სომხები), მეოთხე ქართველ-მაჰმადიანები და მეხუთე ქართველ-ებრაელნი, ხუთივ ამ სარწმუნოების ერნი შთამომავლობით, ტომით, ენით და ყოველივე ასეთის მხარეებით არიან ქართველნი, ამიტომ ვალად ვსთვლით, რომ ამ ხალხთა შესახებ სხვა და სხვა დროს თუნდ მოკლედ ვისაუბროდ. ეხლა ავნუსხავთ ქართველ-კათოლიკეთ შესახებ.

ამ ბოლო წლებს, ქართველ-კათოლიკეთ შორის, ევროპაში, გარდაიცვალენ რამდენიმე მღვდელნი, მათში ჩვენ აქ ავნუხსავთ ჯერედ ორ პირს: პირველი გახლდათ პატრი ალფონს ხითაროვი. იგი დაიბადა 1840 წ. ქ. ახალციხეს. მამა ამის იყო თომა ივანეს ძე, დედა ელენე. ჯავახელ ქართველ-კათოლიკენი. 7 წლის პატარა ალფონსი ავათ გახდა, მამამ აღთქმა დასდვა, რომ ალფონსი თუ კარგად გახდება, მერე მე ამას მღვდლად გავზრდიო. მერე ალფონსი კარგად გახდა, მამამ პირობა შეასრულა. მალე ახალციხის სამრევლო სკოლაში მისცა მოწაფეთ. 10 წლისა-კი კონსტანტინეპოლს გაგზავნეს პეტრე ხარისჭირაშვილთან სასწავლებლად.

პატრი ალფონსმა სტამბოლში სწავლა დაამთავრა, მერე რომში იქმნა გაგზავნილი სასწავლებლად, რომში პირველად საშუალო სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, მერე იყო უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში, აქ მიიღო სწავლა კარგის პატივისცემით და „პროპაგანდოს“ მადლობით. მღვდლათ ეკურთხა იქვე. შემდგომ ამისა მსახურებდა სხვა და სხვა ადგილებში, ბოლოს, ანუ 1870 წ. თფილისში იქმნა შემოსული, რომელიც მიღებულ იქმნა სარატოვის ეპისკოპოსისაგან მღვდლის ხარისხით და რუსეთის მთავრობისაგანაც შეწყნარებული. თფილისში პატრი ალფონსი დარჩა რამდენსამე ხანს,

აქედამ იგი სხვა და სხვა ადგილებშიაც მსახურებდა ხოლმე დროებით. ერთ დროს, თფილისიდამ ევროპაც მიმავლო, მერე ისევ მობრუნდა და თფილისში მსახურებდა.

უკანასკნელ დროს-კი, ანუ 1890 წ. იგი თფილისიდამ კონსტანტინეპოლს გაემგზავრა, იქ დაშთა, საქართველოში აღარ დაბრუნდა, მერე ანუ პეტრე ხარისჭირასშვილის სიკვდილის შემდეგ მას მიანდეს კონსტანტინეპოლის ქართველ-კათოლიკეთ მონასტრის უფროსობა. რამდენიმე წლის შემდეგ, იგი გადაყვანილ იქმნა მონთობონს (ფრანცია) იქაურ ქართველ-კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვრად, სადაც იგი გარდაიცვალა 24 მარტს, 1909 წელს; შობიდან 69 წლისა.

პატრი ალფონს ხითაროვი იყო უწარჩინებულესი ქართველი, მეტად გულ-მხურვალე მამულისშვილი, ნაყოფი პეტრე ხარისჭირაშვილისა. იყო კარგად განათლებული მღვდელი, მასთანვე იყო კარგი მოქალაქე, კაი მქადაგებელი, მთელს საქართველოში ქადაგების კილოთი, ტონით, მჭერ მეტყველებით და ქადაგების მიმართულებით იყო პირველი. მის ქადაგებას ყოველთვის დიდი ძალი ხალხი ესწრებოდა. კათოლიკებს გარდა მრავლად დადიოდნენ ქართველნი და სომეხნიც. ჰქადაგებდა კარგის ქართულის ენით. მთელ თფილისის კათოლიკობას კარგად ეხსომება მისი შნოიანი ქადაგების კილო, ქადაგებასთან ხმა და გამოთქმაც ისეთი აქვნდა, რომ მსმენელს ადვილად იმორჩილებდა მისი სახე და ქადაგების ძლიერი მიმართულება.

ერთხელ ქადაგებაში ასე მიმართა ხალხს: რასაც აქ სულ მოკლედ მოვიყვან: „თფილისის ქართველ-კათალიკობა დღეს დიდს უბედურებას განიცდის, აქამდის ჩვენში ქუჩის მაწანწალა კინტოები არ იყვნენ, ეხლა-კი ესენიც ჩნდებიან ჩვენის უთაურობით. ჩვენს შეძლებულ კათალიკობას ამისთვის სულ არ შესტკივა გული. იგინი მთელ სიცოცხლეს სულ ფუქსავატათ ატარებენ, ერთ კაპეიკს არვის შესწირვენ, მთელი დღე და ღამ „სან-სუს“ და „მონპლიზერში“ ატარებენ, ფაიტონიც დაკავებული ჰყავსთ მთელი დღე და ღამე, საათობით

ფულს აძლევენ, მთელს ღამეს ბილიარდის გარშემო ათიებენ და ვინ იცის რამდენ სხვა ასეთებს არ ჩადიან. საწყალთა შვილთა საპატრონოთ-კი ერთ კაპეიკსაც არ გაიმეტებენ“.

„რაც კაცები არიან, ჩვენი ქალებიც ისეთნივე ბრძანდებიან, ჩვენი კათოლიკის ქალებიც არ იქცევიან კარგად, წარმოიდგინეთ, თუ როგორ, რა მდიდრათ იცმენ და ისე მოდიან საყდარში და გამოიჭიმებიან სულ ძვირფას ტანთ-საცმელით მოსილნი, ერთი მათგანი ასეთ ლურჯ ხელცახოც არ აიღებს ხელში, ამათ შემხედავმა და მაყურებელთ ღარიბ-კაცის ცოლმა და ქალებმა ვის უნდა უყუროს საყდარში, მე უნდა მიყურონ და ჩემი ქადაგება უნდა მოისმინოს, თუ ამათ ძვირფას ტანთ საცმელს და თავ-სახვევებს უნდა უმზირონ, რასაკვირველია ესენი მათ უყურებენ, ამათი გული და სული მათის მდიდრის ტანთ-საცმლისაკენ არის მიპყრობილი ყოველთვის და არა ჩემის ქადაგებისაკენ. ამათვის არც ღარიბი ხალხი არსებობს, არც ღარიბთა გაჭირება. დავსძენ, რომ კათოლიკ ქალებს გარდა სხვა რჯულის ქალებიც ასევე იქცევიან დღეს თფილისში. ღარიბთა ცოლი და შვილები მათ სულ არ აგონდებათ“.

ხალხის ცხოვრების შესახებ ასეთი კილოთი იცოდა მან ქადაგება და იცოდა ისე მძლავრად, ისე ხერხიანად, ისე მაღალის ხმით, რომ მისი კილო კაცის გულს მძლავრად იმორჩილებდა თვისკენ. ქადაგებაში ხშირად საქართველოს შესახებაც იცოდა ლაპარაკი და ქართველობაზედ გულ-მტკინვრული საუბარი. ყოველ თავის ამ გვარ სიკეთესთან იყო ქართული მწიგნობარიც და ძნელად რომ მას რამე ქართული წიგნის წაკითხვა გამოჰპარებოდა. 1873 წელს, მან თფილისში დაბეჭდა ქართულს ენაზედ: „ვნების კვირა“ ლათინურიდან ნათარგმნი, ამას სხვაც ბევრი რამ აქვნდა ნაწერები, ყოველივე იგინი გაფანტულ იქმნენ მის აქეთ-იქით მგზავრობისაგან.

ალფონს ხითარაშვილს მთელი კათოლიკობა სცემდა პატივს, როცა თფილისში განისმა, რომ ალფონსი გადაჰყავს-

თო, მაშინ მთელი საზოგადოება დიდათ შეწუხდა და დროებით ეპისკოპოს ამის თფილისში დაშთენა გამოსთხოვეს. ეს შეწყნარებულ იქმნა. სადაც-კი წავიდოდა ალფონსი და იმსახურებდა, იგი იქ უსათუოდ თავის ნავალსაც აღბეჭდავდა. აი ეხლაც ამ უკანასკნელ წლებს, კონსტანტინეპოლს და მონთობანის მონასტრის ქართველ მოწაფეებზედ მას დიდი შრომა და ამაგი დაუდვია, დიდი მამულისშვილური ზე გავლენა ჰქონია მათზედ, რის გამოც მის შესახებ „სახალხო გაზეთში“ ორი წერილიც დაიბეჭდა კონსტანტინეპოლიდამ, სადაც დამწერი მწარედ მისტიროდა ალფონის გარდაცვალებას და მის ქართულ მამულისშვილობას.

რაკი აქ უმთავრეს საგნად ჩვენ ვასახელებთ ალფონის მამულისშვილობას, ამიტომ აქ მოვიყვანთ შემდეგ ცნობასაც, რაც მართლადაც მას დაასაბუთებს როგორც დიდს გულ-შემტკივარ მამულისშვილს თავის ქვეყნისას. თფილისში მის მსახურების დროს, 1885 წლებს, იტალიიდამ გიახლად ახლანდელის იტალიის კოროლის შვილი. კოროლის შვილი თფილისის ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიასაც ეწვია, სადაც წირვა გადიხადა ალფონს ხითარაშვილმა. ამ წირვაზედ დაესწრო იმ დროის მთელი თფილისის მთავრობის მოწინავე მოხელენი და დიდ-კაცობა. წირვის გათავების შემდეგ ალფონს ხითარაშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა, რომელიც მან პირდაპირ კოროლს მიმართა:

„რადგანაც თქვენმა დიდებულებამ ისურვა და ინახულა ჩვენი პატარა საქართველოს კათოლიკების ეკკლესია და მოისმინა აქ წირვა-ლოცვა, ამიტომ ვალად ვრაცხთ მოგახსენოთ, რომ ჩვენ საქართველოს კათოლიკობას გვაქვს ჩვენი ენა, ჩვენი მწიგნობრობა, ეს საქართველოც ჩვენი სამშობლო ქვეყანა გახლავსთ, საქართველო რუსის სახელმწიფოს დაუკავშირდა 1800 წლის შემდეგ. ჩვენც კათოლიკენი ქართველები გახლავართ, ეს დღეინდელი გალობაც, რომლითაც შესრულებულ იქმნა წირვა, გახლავსთ ქართული გალობა, ჩვენი ენის გალობა, აქ საქართველოში შედგენილი. ეს ეკკლესიაც

ძველად არის აშენებული, ქართველ მეფეთა დროს, ჩვენც კათოლიკობას უკავშირდებოდით XII საუკ. ხოლო მრავლად დაუკავშირდით XVII საუკუნის დამდეგს“.

ამას გარეშე სხვაც ბევრი რამ ცნობები უამბო კოროლს საქართველოს შესახებ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ალფონს ხითარაშვილმა თფილისის გუბერნატორისაგან შენიშვნა მიიღო, რომ კოროლის წინაშე, შენ ისეთი სიტყვის წარმოთქმის ნება არა გქონდა, შენ მისთვის ისეთი სიტყვა არ უნდა გეთქვაო. ალფონს ხითარიშვილმა ასეთი პასუხი მისცა: „მე ვემორჩილები ჩვენი მთავრობის კანონს და ვასრულებ ყოველთვის სინიდისიერათ ჩემს ვალს რუსეთის მთავრობის წინაშე. ხოლო იმასაც-კი მოგახსენებთ, რომ ჩვენთვის და თვით თქვენთვისაც დიდი სირცხვილი იქნებოდა, რომ მე კოროლისათვის სიტყვა არ მეთქვა, რაკი იგი მობრძანდა ჩვენს ეკლესიაში და მოისმინა ჩვენი წირვა-ლოცვა, ამიტომ ჩვენც ვალდებულნი ვიყავით, რომ ჩვენი ვინაობა გაგვეცნო, ყოველივე მოკლედ გადაგვეცა, თორემ იგი რას იფიქრებდა ჩვენს შესახებ, ჩვენ საიდამ ვართ აქ გაჩენილები, ციდამ ჩამოვსცვივდით თუ მიწიდგან ამოვარდით. თქვენ თვით ნახეთ, რომ მას ჩვენი გაცნობა დიდათ ესიამოვნა და ამისთვის მადლობაც გვითხვრა იქვე“.

ასეთის მარტივი და ლოღიკური ახსნის შემდეგ გუბერნატორმა მას მადლობაც-კი უთხრა და თან ბოდიში მოიხადა. დავსძენთ აქ იმასაც, რომ ალფონს ხითარაშვილს დიდათ ემტერებოდა იმ დროის კათოლიკეთა კავკასიის ეკლესიების ვიზიტატორიც, რომელიც ხოლო მის წინააღმდეგ-კი ვერაფერს აწყობდა. ალფონს ხითარაშვილი დიდი მეგობარი იყო მიხეილ თამარაშვილის, მ. თამარაშვილი თფილისში ყოფნის დროს ალფონს ხითარაშვილთან სცხოვრობდა.

პატრი ათანასე ნასყიდოვი.

(ბოლგარეთს).

საოცარია ქართველ-კათოლიკეთ მოწინავე სასულიერო პირთ ცხოვრების გარემოებანი. მათი რიცხვის უმეტესი ნაწილი დღემდე კონსტანტინეპოლს იხოცებოდა, მონთობანს (ფრანცია), რომს და სხვა ასეთ ადგილებში, ამის მაგალითია პატრი მიხ. თამარაშვილის დაღუპვის საქმე იტალიაში და ამისივე საბუთია პატრის ათანასე ნასყიდაშვილის ცხოვრების გარემოებანი, რომელიც გარდაიცვალა ბოლგარეთის ქალაქ ადრიანოპოლში. ამიტომ ამაზედ ვიტყვით შემდეგს:

ათანასე ნასყიდოვი შთამამავლობით ქართველ-კათოლიკე არის, ახალციხელი, იგი პირველ დაწყებით ახალციხეს სწავლობდა, მერე სტამბოლს იქმნა გაგზავნილი, იგი აღიზარდა პეტრე ხარისჭირაშვილის ხელმძღვანელობით. მერე რომში სწავლობდა, იქ სასულიერო სწავლის დამთავრების შემდეგ კათოლიკის მღვდლათ იქმნა კურთხეული. მერე იგი მსახურებდა ქართველთ-კათოლიკეთ მონასტრებს: კონსტანტინეპოლს და მონთობანს (ფრანცია), სხვა და სხვა დროს ასრულებდა პეტრე ხარისჭირაშვილის თანამდებობას ამ მონასტრებში, იყო ზედამხედველი იქაური ქართული სტამბების, ქართული წიგნების ბეჭდვის და სხვაც ბევრი რამ ასეთების.

პატრი ათანასე ნასყიდაშვილი ერთ დროს საქართველოშიაც მოვიდა, თფილისშიაც იმყოფებოდა, მაგრამ მაშინდელის კათოლიკეთ ვიზიტატორის არლოვსკისაგან მთავრობასთან დასმენილ იქმნა და ამის გამო მან ბრძანება მიიღო, რომ საქართველო დაეტოვებინა და უკანვე დაბრუნებულიყო. მეტი გზა არ აქვნდა, იგი დაბრუნდა უკან. სამშობლოდამ მეტად გულ ნატკენი წავიდა, ამ დღიდამ ამას საქართველო აღარ უნახავს, თუმცა ევროპიდამ ყოველთვის ცრემლით მოსტიროდა საქართველოს, მე იგი გავიცანი 1881 წლებს, მას შემდეგ ერთმანერთში გვქონდა მიწერ-მოწერა და მას ბევრი რამ საყურადღებო წერილები აქვს მოწერილები.

საქართველოდამ გასული ათანასე ნასყიდოვი პირველად მივიდა კონსტანტინეპოლს, აქ დაშთა ქართველთ კათოლიკე-

თა მონასტერში და განაგებდა პეტრე ხარისჭირაშვილისაგან დაარსებულ მონასტრის საქმეებს, ქართული სტამბის, ქართული სკოლის და სხვაც ყოველივე ასეთ საქმეებს. იგი იყო დაუცხრომელი მუშაკი ნაციონალურის საქმიანობის, სამშობლო საქმიანობის შრომით ვატარებ დროსა და ამით ვირთვებიო მწერდა ხოლმე. ყოველივე ასეთ შრომის გარეშე, იგი იყო დიდი ქომაგი საქართველოდამ გასულთ იმ ქართველთა, რომელნიც კონსტანტინეპოლს, ან სხვა სადმე ევროპის ქალაქებში სცხოვრებდნენ. ასეთ პირთა ქომაგობის მხრით მას დიდი ამაგი მიუძღვის.

ათანასე ნასყიდოვი, როგორც განათლებული მღვდელი, 1883 წ. მიწვეულ იქმნა ბოლგარეთის ადრიანოპოლში, იქაურის კათოლიკეთა ეპისკოპოსისაგან მღვდლად. იგი ვადასახლდა მალე და მიიღო თავის ადგილი, აქვე მან ისე გაითქვა სახელი და ეპისკოპოზმა ისე შეიყვარა, რომ იგი მალე დანიშნულ იქმნა ბოლგართა კათოლიკეთა სამრევლო სახალხო სკოლების ზედამხედველად. აქ მან გამოიჩინა საკმარისი ენერგია და ბოლგარეთის სახალხო სამრევლო სკოლები მართა ჩინებულად და სახელოვნად, ამით ?ან განითქვა კარგად სახელი. საქმე იქამდის კარგად წაუვიდა, რომ 1890 წლებს, იგი მიწვეულ იქმნა ადრიანოპოლის ერთ კლასიკურს გემნაზიაში მათემატიკის მასწავლებლად. აქ დარჩა იგი კარგა ხანს და ამ ქალაქშივე გარდაიცვალა ამ ბოლოს წლებს.

ათანასე ნასყიდოვი იყო განათლებული მღვდელი, იცოდა ევროპიული ენები, მასთან ქართული კარგად, ოსმალური, ბოლგარული და სხვაც ასეთი ენები, მუდმივი მისი სახმარებელი ენები-კი ფრანგული და იტალიური იყო. საქართველოს სიყვარულით ერთ დროს იგი ისე გამსჭვალული გახლდათ, რომ მას ერთმა ქართველმა თავადმა (მ. ნ. გურულია) რამდენიმე ათასი მანეთი დასტყუვა მხოლოდ იმ ხერხით და გზით, რომ მე საქართველოდამ კონსტანტინეპოლს, საქვეყნო საქმისთვის ვარ მოსული და ამიტომ საჭიროა რომ მე აქ მდიდრად ვიცხოვრო, რათა ოსმალოს მთავრობის და

დიდი კაცების წინაშე გამოჩენილი ვიქმნეო. ათანასე ნასყიდოვმაც ირწმუნა მისი ესეთი ლაპარაკი და ამიტომ მას მისცა რამდენიმე ათასი, რაისა გამო იგი ვალშიაც ჩავარდა ისე, რომ საქართველოდამ ქართული გაზეთის გაწერაც-კი აღარ შეეძლო. ხსენებული თავადი-კი თურმე სულ ყალბი პირი გამოდგა, სულ წინააღმდეგი, რაისა გამო ათანასე ნასყიდოვი დიდათ სწუხდა ამაზედ.

ათანასე ნასყიდოვი იყო დიდათ მოყვარე თავის სამშობლოსი და ქართული ენის და ისტორიის. იგი საქართველოდამ იბარებდა ყველა ქართულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, მიწერ-მოწერა აქვნდა ნეტარ-ხსენებულ სერგეი მესხთან, რასაკვირველია ქართული გაზეთ „დროების“ შესახებ და მასთან საქართველოზედ. ამის გულ-მხურვალეობის სამშობლო ისტორიისადმი ცხადათ აჩენს მისი სხვა და სხვა წერილები ქართულად მწერლობასაც მისდევდა, ადრიანოპოლში ყოფნის და ცხოვრების დროს, იგი სთარგმნიდა სხვა და სხვა წიგნებს ქართულს ენაზედ. სხვათა შორის მანვე სთარგმნა ოსმალურის ენიდან დრამა: „ოსმან ფაშა“, რომელ თარგმანთა ხელთნაწერები სულ მას აქვნდა თან, დღეს სად არის იგი ამისი კაცმა არა იცის-რა.

ადრიანოპოლში ყოფნის დროს, იგი დაახლოებული მეგობარი გახლდათ იმ დროის იქაურის სამხედრო გუბერნატორის მეჰმედ ფაშა ვახვახიშვილის, ქართველ მაჰმადანის, ერთ დროს, ამ ფაშის სალამიც გამოგზავნა, მე ქართული წიგნები გაუგზავნე. ამ წიგნების გამო ფაშისაგან მადლობაც მომივიდა. დიმიტრი ყიფიანის სიკვდილის ამბები ამ ფაშას დიდათ სწყენოდა, იწერებოდა ათანასე ნასყიდოვი, რომ მეჰმედ ფაშას დიდათ ეწყინა დიმიტრი ყიფიანის მოკვლის ამბავი და მის შესახებ ინგლისურს გაზეთებში წერილებიც დასტამბაო. წერილების ე გ ზ ი ლ ე (?) ჰქმნაო. ეს მეჰმედ ფაშა ვახვახიშვილი კახელი ყოფილა, 1860 წლებს, რუსეთიდამ გადასულა ოსმალში, იგი სამხედრო პირი ყოფილა, ისლამი მიუღია, ღის მერე ფაშობამდისაც მიულწევია.

„ვაჰ სოფელო რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა“-ო. სწორედ ასეთ გარდახვეწილ პირებზედ ითქმის და ნამეტურ პატრი ათანასე ნასყიდოვზედ, რომელიც 60 წლებს მიღწეული ასე უჩინრად მიიცვალა უცხოთ მხარეს, უცხო ქვეყანას, დასაფლავდა იგი ისე, რომ ჩვენ მისი სულ არაფერი შეგვიტყვია. მისი ქონებრივი ნივთიერება, ან სხვა რამ ქართული ნაწერები და ცნობები ვის დაშთა არც ამისი ვიცით რამე.

<u>პატრი დომინიკე მულაშოვი</u> (პაწაძე).

მართალია ჩვენ უკმაყოფილონი ვართ ქართველ-კათოლიკეთ პატრების ბედზედ, რომ იგინი ევროპაში გასულნი ასე უმწეოს სიყვარულით იხოცებიან, მართალია რომ ეს მათთვის დიდი უბედურება არის, ვინაიდგან მეტად ძნელია ის გარემოება, როცა კაცი თავის სამშობლოს მოყვარე უცხო ქვეყანას, უცხოებაში, კვდება. მისი სულის მღელვარების ვითარებას ყველა წარმოიდგენს უეჭველია, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ზოგთათვის არც ის გარემოება უნდა იყოს დასათმენი და ასატანი, რომ კაცს, რომელსაც უყვარს თავის სამშობლო ქვეყანა, არის მისი დიდი მოტრფიალე, მისი მზრუნველი, მისის კეთილ-დღეობისათვის თავ-დადებული, იღწვის, შრომობს დღე და ღამ, სწირავს ყოველივეს, მისთვის არა შურს არაფერი და თუ საჭირო იქმნა, მაშინ ის ამისთვის სულსაც არ დაიშურებს, თავს დასდებს, სისხლს დაღვრის.

მერე, ასეთ პირს რა ხვდება საბოლოოდ თავის მიწამამულზედ, კარგი არაფერი, სამწუხარო შედეგი, რისხვა და წყევა თანამემამულეთა. რა მიაგეს ილია ჭავჭავაძეს, რითი გადუხადეს სამაგიერო, რა პატივი აგეს მის ამგდარ მაჯას და კალამს, უბედურება, სამარცხვინო ჯილდო, თავის-მოსაჭრელი უსვინიდისობა და ველურობა, ასეთი მხვედრი გულ-შემატკივარ მამულის შვილისათვის მეტად ძნელი ასატანია, დიდ მოსათმენი. როგორ, განა შესაძლებელია ის რისხვა და უსამართლობა, რომ კაცი თავის ძალ-ღონეს, ამას მისთვის არა

შურდესრა-რა და ყოველივე ამის სანაცვლოდ რა უნდა მიიღოს მან, კარგი არაფერი, თანამემამულეთაგან რისხვა, ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა და მით სისხლის ღვრა, სიცოცხლის მოსპობა.

დიახ, ეს გარემოება მეტად ძნელი ასატანია, ძნელი დასათმობი და ნამეტურ ის წამები, როცა ასეთ პირთ ბოლოსულებენ და კვლენ, როცა ასეთ პირთ სულს უმწარებენ და სპობენ, ნეტა მაშინ რასა გრძნობს ასეთი კაცი, ასეთი მამულისშვილი, უეჭველია დიდს სიმწარეს, დიდს წყევა-კრულვას, ვგონებთ ასეთ პირთათვის ათასჯერ უმჯობესი იქნება სამშობლოს შორს ყოფნა, უცხო ალაგას სიკვდილი, უცხოობაში, ვიდრე თავის საყვარელ სამშობლოში ყოფნა და აქ ბოლოს მოღება თანამემამულეთაგან უსაბაბოთ, უსამართლოდ, უღმერთოდ, უსვინიდისოდ და თითქმის ველურად, წრეს გადასულ ცოფიან მხეცურად და მრავალიც სხვა ასეთნი, რომელ მხეცობის და ბოროტების გამოსახატავად თვით შესაფერი სიტყვებიც-კი ვერ გვიპოვნია, რომ მის საშუალებით გამოვხატოდ ჩვენი წყევა-კრულვა ასეთ პირთა მხეცობის და გველობის წინააღმდეგ.

სწორედ ამ უსამართლო მხეცობის მსხვერპლი გახდა პატრი დომინიკე მუღაშოვი, იგივე პაწაძე, რომელიც სოფ. სკრაში მოკლულ იქმნა მხეცურად, ველურად, ვიღაც ნაძირალა, საძაგელ ქონდრის კაცთ, ყაჩაღ, ქურდებ-მცარცავ—სვავებისაგან. პატრი დომინიკეს მოკვლა ჩვენთვის არის მეტად სამარცხვინო საქმე, მეტად დიდი უბედურება, მაგრამ რა, ჩვენ განა სირცხვილი ვიცით, სულაც არა, კარგა ხანია რაც ჩვენ ეს სირცხვილი დავკარგეთ, ამ დაკარგვის სრული თავმდებია ილ. ქაყჩავაძის მოკვლა, ნიკ. ხიზანაშვილის და რამდენი კიდევ სხვა ასეთ პირების. სამწუხაროდ ქართველობა ამ საძაგლობას ისე მიეჩვია, იგი ამის წინაშე ისეთი უდიერები არიან, რაისა გამო ჩვენთვის საკვირველი აღარ უნდა იყოს პატრი დომინიკეს ასე უღმერთოდ მოკვლა.

<u>პატრი</u> დომინიკე მუღაშოვის ძველი გვარი პაწაძეა, იგი

ჯავახეთის სოფ. ხიზაბავრელია, სადაც სულ ქართველ ჯავახ კათოლიკენი სცხოვრობენ. დომინიკეს დაბადება ეკუთვნის 1860 წ. სწავლა ჯერეთ ახალციხის სამრევლო სკოლაში მიიღო, მერე სამოქალაქო სკოლაში სწავლობდა, მის შემდეგ კონსტანტინეპოლს იქმნა გაგზავნილი, იქ სწავლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მონთობანს და რომს. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოში ჩამოვიდა, თფილისში სცხოვროადა და ემზადებოდა მღვდლად კურთხევას. დროს მიღწეული მღვდლობასაც ეღირსა, იგი აკურთხა მღვდლად სარატოვის კათოლიკეთა ეპისკოპოსმა, მის შემდეგ მსახურებდა თფილისის ქართველ რომის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში ვიკარნი მღვდლად, თფილის გარეშე იგი მოგზაურობდა მთელს გუბერნიაში და კათოლიკებს ჰპატრონობდა, რამდენჯერმე გორის კათოლიკეთა ეკკლესიასაც განაგებდა, ერთ დროს, ბათუმის კათოლიკეთა ეკკლესიაშიაც იყო და დროებით იმსახურა.

დომინიკე მე გავიცანი საქართველოში რომიდამ მოსვლის შემდეგ, თვალ-ყური მიდევნებია მისის მოქმედებისათვის და ამიტომ ვიტყვი შემდეგს. იგი არ იყო განსაკუთრებულის დიდის განათლების და ნიჭის პატრონი, იყო მხოლოდ მოძღვარი, პატრი და უნდა ითქვას მასთანვე რომ დიდი სამაგალითო ადამიანი იყო, სუფთა, უანგარო, განუსაზღვრელის შრომის მოყვარე, დაუზარებელი ყველაფერ საქმეში და ყველგან და ყოველთვის. სამღვდელო ასპარეზედ იყო იგი ნამდვილი ადამიანი, ნამდვილი მღვდელთა მღვდელი და სამაგალითოდ მისაბაძი ამით მას მიმბაძავი ბევრი არ მოეძებნება.

თფილისში ყოფნის და მსახურების დროს მან კარგად გაიცნა არა მარტო კათოლიკობა, არამედ მთელი თფილისის ხალხთა ცხოვრება, მთელი ერი ქალაქისა და ნამეტურ შეუძლო, მუშათა და ხელოსანთა ვითარება. ამიტომაც იყო, რომ მან კათოლიკობაში გამოძებნა ყველა ღარიბ-ღატაკნი და მათ უწევდა დიდს ხელმძღვანელობას, დიდ პატრონობას და ქომაგობას, რასაც-კი ეს სამაგალითო მღვდელი შოულობდა და

ჰოფლობდა, ყოველივე იგი მიაჩნდა ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოდ, თვით ტანზედ ჰერანგს იკლებდა და მის საფასურს და ასეთებით ღარიბ-ღატაკთ ეხმარებოდა. ეს რომ მართალია და ჭეშმარიტი, ამას დაასაბუთებენ არა მარტო თფილისში, არამედ გორს, ახალციხეს და სხვა ყველა იმ ადგილებთა მცხოვრებნი, სადაც-კი ამ ძვირფას ადამიანს უმსახურნია.

მთელს სიცოცხლის განმავლობაში ძნელად რომ ამას ვისთვისმე ეწყენიებინოს რამე, ან ვისთანმე ფსიამოვნობა და შუღლი ჰქონოდეს, ეს მისგან შეუძლებელი იყო და მოუფიქრებელი, ასეთ წყრომას იგი ყოველთვის შორს გაურბოდა, წყრომა, მტრობა და სხვა ასეთნი მან სულ არ იცოდა, ერთის სიტყვით იყო სრული სახე სახარების სწავლის და ქრისტეს მცნების, თფილისში მთელი კათოლიკობაც იცნობდა მას კარგად, არა მგონია, რომ თფილისში იყოს ვინმე კათოლიკის ოჯახი, რომ იქ დომინიკე არ ყოფილიყოს და მათი ცხოვრების ავი და კარგი არა სცოდნიყოს. ყოველს თვის სასიკეთო მხარეებთანა და ძვირფას ადამიანურს ღირსებაჩთან ერთად იყო დიდი გულ-შემატკივარი ქართველი მამულისშვილიც.

პატრ დომინიკეს განუსაზღვრელის პატივისცემით უყვარდა თვისი სამშობლო საქართველო, ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ქართველ კათოლიკობა და ქართველი ერის ამაღლება და დაწინაურება. ამ ერის დაწინაურება მას ისე ესმოდა, როგორც რიგი და წესია, მისი მოქმედებიდამ კარგად სჩანდა, რომ მას ასე დაწინაურების უმთავრეს ძალათ ხალხის ცხოვრებაში ეკონომიური ვითარება მიაჩნდა, თვით ამაზედ არას ამბობდა, მაგრამ მის საქმიანობიდამ-კი ეს გამომდინარეობდა, თუმცა არა წიგნებით, იქმნება არცა რა ეკონომიურის და სოციალურის განვითარებით და ასეთის წიგნების კითხვით, მაგრამ იგი რაც იყო და მის ბუნებრივის ნიჭი და ცოდნიდამ რაც-კი გამომდინარეობდა, ვიტყვით, რომ იგი იყო ქრისტიანური დემოკრატიზაციით გარემოცული, ამის მოქმედებაში სჩანდა როგორც სახარების სწავლის თანახმად სო-

ციალური მიდრეკილება, ისევე დიდი პატივისცემა და სიბრალული თავის სამშობლო ჯავახელ გლეხთა ცხოვრების.

იგი ჯავახელ გლეხთა ცხოვრებისაგან მეტად გამწარებული იყო, მას ორი გარემოება სწყლულავდა და ამღელვარებდა, ერთი ქართველ კათოლიკეთ უარის ყოფა და მეორე ქართველ და ნამეტურ მესხ-ჯავახელ ქართველ გლეხთა დავრდომილება, მათი უსწავლელობა და ნამეტურ უმიწაწყლობა და სიღატაკე. გაბრაზებული იყო მასზედ, რომ მთელ ჯავახეთ-მესხეთის ადგილები უცხო თესლის კაცთ ეკუთვნით და იქ მცხოვრებ ქართველები უმიწყლოთ არიან და ლამის ამის უქონლობისაგან მოისპონ კიდეცაო. რაც რამ ამათი ადგილები ყოფილა ძველად, ყველა იგინი ჯერედ გამაჰმადიანებულ ათაბაგებს ეკუთვნოდაო, მათ მერე იგინი დაიყიდა და სულ მდიდარ სომხებზედ გადავიდაო. ესენი-კი ამ საკუთრების წყალობით ჩვენ გლეხებს პირში სულს ხუთავენო. რაც გლეხობა წინედ იყო, მათ ის ადგილები ჰყოფნიდათ, რაც-კი მამა-პაპებს აქვნდათ, დღეს-კი რაკი ესენი გამრავლდენ და ასი სული ხუთასათ იქცა, დღეს ის ადგილები ამათ აღარ ჰყოფნისთ.

სხვა ადგილები-კი არ არის, რომ ამათ იჯარით აიღონ, თუ არის სადმე, იმაზედ ჯერეთ 1829 წ. არზრუმიდამ გადმოსახლებული სომხები სახლობენ და თუ ამათ გადარჩათ რაშე ადგილების, იმას კიდევ იგინი ასეთ ფას ადებენ, რის აღებასაც ქაროველი გლეხი სულ ვერ შესძლებსო. ამიტომ მეტი გზა არა აქვსთ, ჯავახელ გლეხებმა უნდა იზრუნონ და ქედამ სხვაგან გადასახლდენ და მოიპოვონ სახელმწიფო ადგილები, რათა მით თავი ირჩინონ სამერმისოდ და მშივრები არ მოკვდენო. ამას ზრუნვა უნდა, რომ ცარიელი, თავისუფალი ადგილები იქით დაიჭირონ, სადაც დღეს უცხონი არ დაჰპატრონებიანო. ამიტომ მესხეთ-ჯავახეთის უმიწა-წყლო გლეხებში პატრი დომინიკე ხშირად ლაპარაკობდა მათს გაჭირვებულ ცხოვრებაზედ და უმიწა-წყლობაზედ. ამიტომ მათში აზრი დაიბადა იმ ადგილებიდამ სხვაგან გადასახლება, სადაც თავისუფალ ალაგებს იპოვნიდენ, ამ 10 წლის წინედ,

მათ დააპირეს არტაანის და ყარსის ოლქებში ადგილების ძებნა და გარდასახლება, მაგრამ ეს ვერ მოუხდათ.

პატრი დომინიკე იქამდის გონიერებით იყო სავსე, იქამდის მზრუნველი იყო ქართველ ნაციის, რაისი გამო მან ერთობ კარგად იცოდა ქართველ გლეხთა გაჭირებული ცხოვრების პირობები. ნამეტურ მას კარგად აქვნდა შესწავლილი მესხეთ ჯავახელ გლეხთა უმიწაწყლობა და სივიწროვე. ამიტომაც ეს პირი სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ თავის მღვდელ მოქმედებით რამე გროშები შეეკრიბა და მერე ეს შენაკრები ხსენებულ გლეხთა ბოგანოთათვის მალამოდ მოეცხო. თვით მღვდელ მოქმედების დროს, ერთობ ცოტას ხარჯავდა, კათოლიკის ერთმა მღვდელმა მითხრა, რომ „ტანზედ პერანგი არ ეცვაო“. ამის მოკვლის ამბავი სომეხ კათოლიკეთ მღვდელმა დიონოსე კალატოზიშვილმა მწუხარებით აუწყა თვის მრევლს.

მან განვლო თვისი დღენი სამაგალითოდ, თვის გამსჭვალვას მიაღწია, რის გამოც შემდეგ უბედური მსხვერპლიც გახდა ამ სიკეთის. დავსძენთ აქ შემდეგს ცნობასაც რაც არ იქმნება უმნიშვნელო. პატრი დომინიკიზედ ბევრად უწინარეს ესეთივე აზრი განაცხადა **დონ გაბრიელ ახლანიშვილმა.** პირველად ამან განიძრახა ასეთ გლეხთ გადმოსახლება გორში და დასახლება. მან ამისთვის კარგადაც იმეცადინა და უკანასკნელ თვის საწადელსაც მიაღწია, მან მოახერხა და მესხეთ ჯავახეთიდამ გორისკენ გადმოასახლა რამდენიმე კომლი გაჭირებულ გლეხთა, რომელთა გადმოსახლებითაც მან ორნაირი ადამიანური ვალი შეასრულა, გლეხებს კაი შრომა დასდო, კაი სამსახური, ხოლო ამის ასეთი უანგარო შრომა ჩაფუშულ იქმნა იმ გარემოებისაგან, ვინაიდგან ეს მღვდელი გორიდამ რუსეთში გადიყვანეს. ამის გადაყვანით გარდმოსახლებულთაც არ დაუდგათ კაი დღენი.

მართალია დონ **გაბრიელ ახლანიშვილი** ვერ მოესწრო თვის აზრების ბრწყინვალედ შესრულებას და ჯავახელ ბოგანო გლეხთა მრავლად გადასახლებას, მაგრამ მაინც მის გადაყვანის შემდეგაც მისი აზრები არ გაქრა და მისის მიბაძვით,

იმავ გზას დაადგა პატრი დომინიკე, რომელიც ბოლოს მსხვერპლი გახდა მის. ხოლო პირველობა-კი მესხეთ-ჯავახელ უმიწაწყლო ბოგანო გლეხთა გარდასახლების ცნებიერება და ნატვრა დან გაბრიელ ასლანიშვილს ეკუთვნის. ამის შრომა ანუ სხული გვაქვს. ნახეთ ამაზედ ჩემი წიგნი „ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი“ თფილისი 1903 წ.

განვლო დრომ და ამ უკანასკნელ წლებს პატრი დომინიკეს მეთაურობით, განუსაზღვრელის შრომით და ამაგით 30 კომლი ქართველ-კათოლიკე გლეხების გადმოსახლებულნი იქმნენ მესხეთ-ჯავახეთის სოფლებიდამ (ბორის მაზრა), სოფ. სკრაში. აქ ამათთვის ადგილები შესყიდულ იქმნა სათავადაზნაურო ბანკისაგან საჯაროდ გასყიდვის დროს. ამათ რომ არ ეყიდნათ, უეჭველია მაშინ მას სხვა ტომის და თესლის კაცნი იყიდნენ. ამ გადმოსახლებისათვის დომინიკე პატრს აქვს დადებული დიდი სანაქებო შრომა, დახარჯული დიდი დრო, თვისი ნივთიერი შეძლების შელევა, თვისი განუსაზღვრელი კაცთ მოყვარეობა. ადვილია ითქვას მარტოდ სიტყვით, მესხეთ ჯავახეთიდამ 30 კომლის აყრა და გადმოსახლება ასე შორს, ასე მოცილებით თვის ნათესავთ და ნაცნოათ, ცხადი საქმეა, რომ ყოველივე ამას შეებრძოლა პატრი დომინიკე და ამ შებრძოლებით მან გლეხთა შეუძლებლობაც საკმარისად დასძლია, თვისის შემძლებლობით და ბევრის შრომა-ტანჯვით სკრაში დაასახლა 30 კომლი ქართველ-კათოლიკეთა, რომელთაც მასთანვე მოუპოვა ყოველივე სამეურნეო შეძლება.

უანგარო და პატიოსნმა მშრომელმა თავის სამაგალითო შრომა და ენერგია მან მარტოდ ამით არ დაამთავრა, ამ 30 კომლ უმიწა-წყლო გლეხთა გარდა მან სხვანიც მოძებნა ისეთის გლეხების, რომელნიც მესხეთ-ჯავახეთში უმიწობისაგან ბ ო გ ა ნ ო თ იყვნენ ქცეულნი. ასეთების რიცხვი დიდი იყო, მაგრამ მეტად განწირულს ბოგანურს გარემოებში 30 კომლი აღმოსჩნდა. ამათ პატრმა დომინიკემ ურჩია კახეთში გადასახლება. ბევრის ქადაგების შემდეგ მან იგინი დაიყოლია და

გააბედვინა თანხმობის გამოთქმა. ამის შემდეგ პატრმა დაიწ-
ყო კახეთში ადგილების ძებნა და მან მალეც იპოვნა მშვე-
ნიერ მიდამო „სანავარდეში“ (თელავის მაზრა), გლეხთათვის
კარგი დასასახლებელი ადგილები. ადგილების შოვნის და აღე-
ბის შემდეგ, მომზადდა გლეხთა გადასახლებაც და ესენი მა-
ლეც გადასახლდნენ და დასახლდნენ ხსენებულს ადგილებში,
რაც თვით თელავის ხალხისაგან ეს ქართველ-კათოლიკენი
დიდის პატივის-ცემით და თანაგრძნობით იქმნენ მიღებულნი.
ეს პირველი მაგალითი იყო კახეთში, აქ ქართველ კათოლი-
კეთა გლეხნი არვის უნახავს, და არც ამათი პატრები.

როგორც სკრაში გადასახლებულ გლეხების, ისევე ამ კა-
ხეთში გადასახლებულ გლეხთა წინაშე დომინიკე პატრს მიუ-
ძღვის დიდი შრომა, დიდი ამაგი, ამის ანუხსვა აქ არ შეი-
ძლება, ამას მხოლოდ ენა იტყვის ადვილათ, თორემ ამოდო-
ლა გლეხების აყრა და ერთის ადგილიდამ მეორე შორს ალა-
გას გადასახლება მეტად ძნელი და რთული საქმე უნდა იყოს
და ისიც ქართველ გლეხების, ჯერ აყრის დროს და მერე
მგზავრობის—დასახლების დროს და ამის შემდეგაც, მათ გა-
მოსცადეს დიდი სილატაკე, დიდი გაჭირება,. უქონლობა თუ
საოჯახო ნივთების, თუ სამეურნეო იარაღის და ვინ იცის
რამდენი კიდევ სხვა ასეთების, მაგრამ ყველა ამ გასაჭირს და
უქონლობას გვერდს ახლდა პატრი დომინიკე, რომელიც თვის
გულ-მხურვალეობით, მამულისშვილობით და კაცად-კაცო-
ბით, ყოველივეს უშველავათებდა ამ გლეხებს და ყოველივე
დანაკლისის მოპოების სახსარს სძლევდა, ყოველივეს უშოე-
ნიდა, ყოველივეს გაუჩენდა, რათა გლეხნი არ დაჩაგრული-
ყვნენ. ხოლო ყოველივე ამისთვის იგი რა შრომას კისრუ-
ლობდა, რა ჯაფას და რა შრომით პოულობდა ყოველივეს
და რა დაუფასებელის დავალებით უწევდა მოჭირნახულობას,
ყოველივე ამას ჩვენი ენა ვერ მოსთვლის. ვერ მოსთვლის,
რადგანაც ჩვენ მის ბევრი არაფერი ვიცით, ვიცით მხოლოდ
ის, რომ რასაც პატრი დომინიკე თავის შრომით შოულობდა,
ყოველივე მას გლეხთათვის ინახავდა, თითონ თითქმის მშრა-

ლა პურზედ იყო, ღარიბად და ყოველივეს ამათ ჰკერძავდა. მერე რა ერგო ასეთ პირ თავის შრომის სამაგიეროდ—ბოროტება სხვათაგან და უწყალოდ და უსამართლოდ სიკვდილი. რითაც ჩვენ შეგნებულთ გვრცხვენიან დიდათ და არ ვიცით, თუ რა გვარ და როგორ რა ავხსნათ ამ ყოვლად სათნო და პატიოსან ადამიანის ასე უღმერთოდ დაკ.რგვაზედ. მარჯვენა უნდა გაუხმეს ისეთ კაცს, ვინც ამისთანა პირების წინააღმდეგ მახვილს იღებს ხელში. 28 ოქტომბერს, სოფ. სკრაში, სადაც სახლობენ ქართველ-კათოლიკეთ გლეხნი, თავის სახლში მჯდარა პატრი დომინიკე ჩაიზედ, ამ დროს მასთან შევარდნილა ორი ოსი, პატრი დომინიკეს სტუმრები ჰგონებია, ამიტომ იგინი მიუწვევია, მობრძანდით ჩაი მიირთვითო. ოსებს უთქოვსთ: ჩვენ ჩაი არ გვინდა—ფული მოგვეცოო. პატრს მიუცია რაც ჰქონია, ამ დროს ერთ მათგანს ხანჯალი დაუტყაკვს თავში, დაჭრილ გამწარებული შეხვეწნია ნუ მომკლამთ და აგერ აი იქ ერთი თუმანი არის დაიღეთო. ისიც აუღიათ და ამ დროს მეორე ოს მაუზერის დამბაჩა უსროლია თავში და იქვე მოუკლავსთ. მკვლელნი გასულან ოთახიდამ და სახლში მყოფთათვის უთქვამსთ, რომ მინამ ჩვენ სოფელს არ გავსცდებით ბოლომდე, თქვენ ხმა არ ამოიღოთო. მკვლელნი გასულან თავისუფლად და წასულან უჩინრად ჩუმად.

ასე უღვთოთ, ასე უსამართლოდ დაკარგეს ეს ძვირფასი პატრი იმ სამოც კომლ ქართველ გადმოსახლებულ გლეხებმა, რომელნიც მისის ცდით და დახმარებით იყვნენ ბოგანობიდამ დახსნილნი და ორს ალაგას დასახლებულნი. ჩვენ ქართველებმა დავკარგედ უანგარო მოღვაწე ქირთველ მამულიშვილი, ქართველ-კათოლიკობამ დაკარგა უწარჩინესებული მოძღვარი და ზემოდ ხსენებულმა გლეხებმა დაკარგეს თვისი მფარველი მამა, ამხანიგი, მეგობარი და მრავალნაირად მოჭირნახულე მფარველი. პატრი დომინიკე ყოველ თავის ღირსებასთან იყო კარგა ქართული მწიგნობარი, დიდი პიტივისმცემელი ქართულის მწერლობის და ქართველა ისტორიის.

1907 წ. მან ქართულს ენაზედ, სასულიერო და საისტორიო შინაარსიანი გაზეთის გამოცემაც დაიწყო, სახელდობრ „ჯვარი ვაზისა“ სადაც მრავლად დაისტამბა ქართული ისტორიული წერილები და სურათები. ამ გაზეთის რამდენიმე ნომერი გამოსცა მხოლოდ. მწიგნობრობას გარდა იცოდა ქართულს ენაზედ ქადაგებაც.

ამ მოკლეს დროში, ანუ როგორც გაზეთებმა გვაცნობეს, პატრი დომინიკე, „მოურჩევიათ კონსტანტინეპოლის ქართველ-კათოლიკეთა მონასტრის უფროსად, ეს უბედურება რომ არ შემთხვევოდა, იგი უსათუოდ გაემგზავრებოდა კონსტანტინეპოლს. რამდენიმე წელია მას შემდეგ გასული, რაც პატრი დომინიკე თფილისის ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიიდამ გადაყენებულ იქმნა, მას სამრევლოდ საყდარი არ აქვნდა, თავის სამღვდელო დროსა და შრომას ასეთის ხალხის დიდის სამსახურით ატარებდა. სირცხვილია ჭეშმარიტად ჩვენთვის, რომ უდანაშაულო კაცებს ასე ულვთოდ ვხოცავთ. საქართველოში ეს პირველი მაგალითი გახლავსთ, რომ კათოლიკის პატრი ვისიმე ხელით მომკვდარიყოს. ამის მაგალითი არ ყოფილა იმ დღიდამ ჩვენში, რაც კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნი გასჩნდენ საქართველოში და მასთან მათივე პატრებიც სცხოვრებდნენ. ჯერ ასეთი უბედური მაგალითის არა მომხდარა-რა... ამბათაც არ ყოფილა.

ამ წიგნაკით უნდა ვისარგებლოდ და ვსთქვა შემდეგი:

ქართველ კათოლიკეთა რიცხვი საქართველოში სადღეისოდ თავის გასამრავლებელის კანონიერის რიცხვით არ მიდის წინ. ქალაქ ადგილებში და ნამეტურ თფილისში დღეს მესამე ნაწილიც აღარ არის იმ კათოლიკების, რაც მათი რიცხვი წინედ იყო. მეორე ამათგან მღვდლებათაც მრავლად მიდიან, ქართველ კათოლიკის შთამომავალ მღვდელთ ნაწილის ევროპის ქვეყნებში არიან დაფანტულნი და იქ ისპობიან უმწეოდ, უცოლ-შვილოდ რაც ქართველ კათოლიკე ოჯახთათვის დიდათ დანაკლისია.

ვიტყვით, რომ რამდენიც ქართველ კათოლიკეთ მრავ-

ლია, ქალაქი, დაბა, თუ სოფელი, მღვდელნიც იმ ზომით უნდა იყვნენ და არა ისე მრავლად, ეს როგორც დღეს არის მათში. ამიტომ კათოლიკობამ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ და ასე მრავლად მღვდლებათ წასვლას რიცხვი უკლონ. თორემ ამათი მღვდლობა პოლონელებს, ფრანცუზებს და სხვა ასეთებს სულ არ სჭირიათ. ამაზეა ნათქვამი „კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვებს ბუზებს უგერებდაო".

მეორე კითხვა: დღემდე ქართველ კათოლიკეთა მღვდლებს თავიანთ სამოქმედო ასპარეზი უმეტესად ევროპაში გადაჰქონდათ და იქ იხოცებოდნენ. არც ეს შეევფერის დღეს, მიტომ რადგანაც იგინი ამით აკლდებოდნენ საქართველოს ნიადაგს. მათი ცდა-კი უნდა იყოს, რომ თვისი შრომა და ნიადაგი თვის სამშობლოში ანაყოფიერონ. უცხოობაში ყოფნა-კი ქართველ კაცს დღეს აღარ შეჰფერის, რადგანაც დღესაც ჩვენი ქვეყანა გვაქვს, ჩვენი სამშობლო, ამას თუ დავკარგავთ და ქვეყანა აღარ გვექნება, ანუ ტერიტორია, მაშინ-კი ნება ექმნებათ მათ საითაც სურთ იქით წავიდნენ.

ამ გარემოებით თვით ქართველ მეფენიც-კი სცდებოდნენ, რომ ქართველთ ნიადაგს საბერძნეთს, იერუსალიმს და ათონს აჩენდენ, იქ მილიონებს ხარჯავდენ, ქართველ გლეხებსაც-კი გზაკნიდენ ყმებათ. ამით ქართველობას დიდი ძალა აკლდებოდა. დღეს საბერძნეთს ქართველების ეკუთვნის დიდი ძალი მამულები, მილიონერების, ჩვენთვის-კი ყოველივე დაკარგულია. ეს გარემოება უნდა გვაფიქრებდეს ჩვენ და უნდა ვსცდილობდეთ, რომ ჩვენი სამოქმედო ასპარეზი ჩვენ სამშობლოში იყოს. ქართველ კათოლიკეთ სასულიერო წოდებაც ვალდებულია, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, თვისი სამოქმედო ნიადაგი საქართველოში გადმოიტანონ და აქ იღვაწონ. თორემ ყოველივეს დავკარგავთ შინ და გარედ კიდევ ვერა გავხდებით.

რომის გაზეთის ცნობა. 1911 წ. მიხეილ თამარაშვილი სააგარაკოთ გაემგზავრა სოფელ სანტ-მარინელლას, სადაც იგი ამზადებდა თავის ეროვნული წიგნის მასალებს. ამ წიგნის ხასიათი მთლად ეროვნულ იქნებოდა. მაგრამ ამ წიგნის გათავება არ დასცალდა. ამ თვის (სექტ.) ორს, 11 საათზედ, სანტ მარინელას საბანაოზედ დასეირნობდა პროფესორ ავგუსტოთან ერთად. ამ სეირნობის დროს, ზღვიდგან მოესმათ ყვირილი ერთი ახალგაზრდა ხელოსან დურგლისა, რომ მიშველეთ, ვიხრჩობიო.

კაცთ-მოყვარეობით შემკული პროფესორი ავგუსტო შეცურებულა ზღვაში ხელოსნის საშველათ, მაგრამ საქმე გასჭირებია, მერე ამას მიჰყვა მიხეილ თამარაშვილი. ზღვა უფრო აღელდა ამ დროს. მალე თავზარ დამცემი და საშინელი ხმაურობა ასტყდა ხალხში, მაგრამ შველა ველარ შესძლეს, რამდენიმე ხნის შემდეგ მიხ. თამარაშვილი ზღვიდამ მკვდარი გამოიტანეს, პროფესორის გვამი-კი ვერ იპოვეს. მიხ. თამარაშვილი დიდის საერთოს პატივისცემით დაასაფლავეს 7 სექტ.“

შეცდომის გასწორება.

მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი დაღუპულა ზღვაში 2 სექტ. 1911 წ. და არა 8 სექტ. და 1191 წ., როგორც 44 გვერდზეა მოხსენებული, სოფ. სენტ-მარინელლას, სადაც საზაფხულოდ წასულა იგი დასასვენებლად.

პატრი დომინიკე მულაშოვი.

ვერაგულად მოკლული, 28 ოქტომბერს 1911 წ., ს. სკრაში.

ზ. ჭიჭინაძე

მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 32 №-რი.

ქართველ კათოლიკეთ შესახებ მომზადებულია შემოკლებული ისტორია ქართველ კათოლიკეთა შესახებ. სახელდობრ „ქართველ კათოლიკეთ ისტორია“ პატრი მიხეილ თამარაშვილის წიგნიდამ მდაბიურად დაწერილი. სურათებით, 1200 ცალის დაბეჭდვა დაჯდება 300 მანეთი, იქნება გამოსცეს ვინმემ. არ იზარალებს.

✦ მიხეილ თამარაშვილი—ფასი ორი შაური. ✦

Академия Наук СССР